რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 6 სექტემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. სახლგარ-გარეშე ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—80 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 140 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების. № 140

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთის ფასი როგორც თფილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის-მომწერთათვის 1 მანეთი. გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба".

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველ ფასებზე აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვსთხოვთ შესაფერათ შეავსონ თავიანთი ხელის მოსაწერი ფული ზემოხსენებულ ფასის და მიხედვით.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მატრონა, ძმა დათიკო, რძალი ნატო, ძმის შვილები ვალენტინა და თამარა ლორთქიფანიძენი, დები ეპრაქსია მეზურიშვილისა, ივლიტა ნემსაძისა, სიძეები გერმანე მეზურიშვილი, და მიხაკო ნემსაძე გულ მოკლულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

სერგო ივანეს ძე ლორთქიფანიძის

უდროოთ გარდაცვალებას ქალაქ სოხუმში.

27 აგვისტოს 1917 წ.

დაიკარგა

თფილისში თუჯის საათი ძეწკვით, საფულით ნაღდი ფული 189 მანეთი, ხელმოწერილი ვექსილი 50 მან. [illegible] ბარათი ხიტროვიდან მიცემული 186 მანეთის სათვალი, წიგნაკი ჩინოვნიკების კოოპერატივიდგან. და სხვა საჭირო ქაღალდები. ვთხოვ მნახველს დამიბრუნოს გარდა ნაღდი ფულისა.

ადრესი: თფილისი, ცენტრალური ტელეგრაფის კანტორა, ვლადიმერ ქიქილიძე.

ექიმები დ. მ. ჟორდანია და ა. ა. მაიცაანი

იღებენ ავათმყოფებს შინაგან, ბავშვების, ავათმყოფობა სისხლისა, ქრონიკული მალარია, შარდის მილებისა (ქრონიკული ტრიპერი) სიფილისი და მისი შედეგები. წამლობა ერლიხის პრეპარატებით „914" და „616" შინაგანი ვენისა სქესობრივი სისუსტე და ელექტრონით წამლობა.

მიღება ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა საღამოს 5—8 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 52 ბინა 1. (10—4)

ქუთაისში

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლში.

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

დღეობით ავათმყოფებს სად. 6—8 საათ. ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება, (სისხლის ნაკლებობით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ.) ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხვ. მისამართი: ფასანაურის ქუჩა. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი). (12—9)

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი ბ. მ. მუხაძე

ქობულეთში გამგზავრების გამო შეწყვიტა ავადმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ღხენპელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, პლევრისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი [illegible] აპარატის ტიპით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ფინლიანდიის საკითხი.

უკანასკნელ დროს ფინლიანდია-რუსეთის ურთიერთობა მეტად გამწვავდა. ფინლიანდიის ერმა გადაჭრით გამოთქვა თავისი სურვილი: ის სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს არ ეჭაშნიკათ კადეტებს და საერთოთ კონტრ-რევოლუციონერებს. რუსეთის იმპერიალისტები მუდამ სხვა ერთა დამონებით სულდგმულობენ. რასაკვირველია ასე ადვილათ ისინი ვერ დასთმობენ თავის ბატონობას ფინლიანდიაში. იმპერიალიზმი მუდამ ახალ-ახალ ქვეყნების დაპყრობას ელტვის.

რუსეთის რევოლუციამ ერთა თვითგამორკვევის უფლება ფართოთ წამოაყენა. და აი ფინლიანდიაც დამოუკიდებლობას მოითხოვს. შესაფერი კანონი სეიმმა უკვე მიიღო, რომლის თანახმათ შინაურ საქმეებში ფინლიანდია დამოუკიდებელია და თავის ბედს თვით სურვილისამებრ განაგებს, ხოლო სამხედრო საქმე და საერთაშორისო დამოკიდებულება კვლავ რუსეთის დროებითი მთავრობის ხელში რჩება. მოსალოდნელი იყო ფინლიანდიელთა სამართლიან სურვილს რუსეთის რევოლუციონური მთავრობა ანგარიშს გაუწევდა და მათთან მორიგებას შეეცდებოდა. სამწუხაროთ მოხდა წინააღმდეგი: მთავრობამ სეიმი დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა. რუსეთ ფინლიანდიის ურთიერთ დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდა.

ეროვნული საკითხი საბოლოოთ დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასჭრას. ამას მოითხოვს რევოლუციის ინტერესები. მაგრამ ზოგიერთი ერები მეორე გზით მიდიან: მათ აფრთხობს რუსეთში კონტრ-რევოლუციის ამოძრავება და ამიტომ დაუყოვნებლივ ითხოვენ თავისი ბედის გადაჭრას. აქ შეიძლება ორი გზა—დროებით მთავრობას შეუძლია მათი მოთხოვნილებანი უარყოს და დამფუძნებელ კრებაზე მიუთითოს. გამოცდილებით ვიცით, რომ ეს იწვევს ერის დიდი უკმაყოფილების აღშფოთებას, ხოლო ეს რევოლუციას ძალას აცლის და მას ასუსტებს. მთავრობას შეუძლია მეორე გზას დაადგეს: დამორჩილებულ ერთან შეთანხმება სცადოს და ამ გზით რევოლუციას ახალი მოკავშირე შესძინოს. უკანასკნელ გზას დაადგა მთავრობა, როცა ის ამხ. ირ. წერეთლის მეოხებით შეუთანხმდა უკრაინის რადას და მას ავტონომია მიანიჭა. მაგრამ ივლისის ამბების შემდეგ მთავრობა თანდათან უფრო და უფრო დაემორჩილა კადეტთა გავლენას და ერთა სამართლიან უფლებებს ზურგს აქცევდა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ფინლიანდიის საკითხში. სეიმის დათხოვნა ამის უტყუარი საბუთია.

გენერალ კორნილოვის გამოსვლამ კონტრ-რევოლუციონური ბანაკი შეარყია და მათი ძალა-გავლენა შეასუსტა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას კადეტთა შესახებ. და აი დროებითი მთავრობა იძულებულია ეროვნულ საკითხში ახალი გზა აირჩიოს. ის ცდილობს შეუთანხმდეს ფინლიანდიის ერს და ამ მიზნით მან სენატის უფლებები გააფართოვა. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს უკანასკნელი აქტი ფინლიანდიის შესახებ, რომელიც სენატს უფლებას აძლევს საბოლოოთ დააკანონოს სეიმის ზოგიერთი დადგენილება, რომელიც შინაურ საქმეებს ეხება, სავსებით დააკმაყოფილებს ფინლიანდიის ერს. ის სრულ დამოუკიდებლობას ელტვის. მთავრობის უკანასკნელი გამოსვლა საყურადღებოა მეორე მხრივ: ნათლათ სჩანს, რომ რუსეთის დროებითი მთავრობა გრძნობს, რომ რევოლუციის გამარჯვება დამორჩილებულ ერებთან შეთანხმებას მოითხოვს. ეს საუკეთესო გზაა კონტრ-რევოლუციის ალაგმვის და რესპუბლიკის განმტკიცებისა.

ეჭვს გარეშეა, ახლო მომავალში კონტრ-რევოლუციონერთა ახალ გამოსვლას უნდა ველოდეთ. მათი დატუქსვა მთელი რუსეთის დემოკრატიის, მათ შორის დამორჩილებულ ერთა ამოძრავებას მოითხოვს. ამიტომ დადგა დრო, როცა მთავრობა ვალდებულია ეროვნულ საკითხში უფრო გაბედულ პოლიტიკას დაადგეს და ერებთან შეთანხმება თავის მორიგ საქმეთ გამოაცხადოს. რესპუბლიკანურ რუსეთში ერთა მონობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. რევოლუც. დემოკრატია ვალდებულია ფინლიანდიისა და უკრაინის გარდა, საჭიროებისას სხვა ერთა საკითხებიც თავის საქმედ გამოაცხადოს და მათ გადაჭრას შეუდგეს.

პოლონეთის სამეფო.

პოლონეთის სამეფოს ახალი ხანა იწყება. მრავალ ტანჯულ ერს ერთგვარი სახელმწიფოებრივი თავისუფლება ეძლევა და მის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას საძირკველი ეყრება.

ვოლფის სააგენტოს ცნობით გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა მეორემ პოლონეთის მთავარ ქალაქ ვარშავაში 2 სექტემბერს რესკრიპტი გამოაქვეყნა, რომელშიაც შემდეგია ნათქვამი: ჩემმა მოკავშირემ მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ და მე გადავწყვიტეთ პოლონეთის სამეფოს განვითარება გავაფართოვოთ. მძიმე ომის გამო ჯერ კიდევ შეუძლებელია, რომ პოლონეთის მეფეს ახალი შუქი მოეფინოს ძველი პოლონეთის სამეფო გვირგვინის. ხალხის წარმომადგენლობა, რომელიც პირდაპირი ფარული კენჭის ყრით იქნება არჩეული უკვე მოქმედებას შეუდგება. უმთავრეს კითხვების გადასაწყვეტათ ჩვენ მოვიწვიეთ სახელმწიფო უფლება გადავეცით პოლონეთის ეროვნულ მთავრობას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ პოლონეთის ნაციონალური მთავრობა სოლიდარულად იმოქმედებს ცენტრალურ სახელმწიფოებთან.

ვილჰელმის რესკრიპტში მხოლოდ ნათქვამია, რომ პოლონეთის სახელმწიფოს, პოლონეთის ერს ნაციონალური მართვა-გამგეობის ინსტიტუტი ეძლევა და იგი შეთანხმებულად უნდა მოქმედებდეს. აი მთავარი შინაარსი, რომელიც ვილჰელმმა მთელ კაცობრიობას რესკრიპტის სახით აუწყა.

გერმანიის სახელმწიფოს მეთაური ვილჰელმი და მისი მოკავშირე ავსტრიის იმპერატორი, რომელთა წინაპრებმა რუსეთის ძველ მთავრობასთან ერთად სამჯერ გაგლიჯეს პოლონეთის ერი და მას ნაციონალური დამოუკიდებელი არსებობა დაუკარგეს—სწორეთ ახლა გამოდიან და პოლონეთის სახელმწიფოებრივ თავისუფლებაზე რესკრიპტებს აქვეყნებენ. ეჭვს გარეშეა გერმანია-ავსტრიის იმპერიალისტური პოლიტიკის მესვეურნი დღეს პოლონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოზე ლაპარაკობენ და მას ერთგვარ ეროვნულ თავისუფლებას აძლევენ. მაგრამ მათ მიერ მინიჭებული თავისუფლება არ შეადგენს პოლონეთის ხალხის ნაციონალური მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებას.

პოლონეთის ხალხი, როგორც სხვა დანარჩენი დამორჩილებული წვრილი ერები, თვითგამორკვევას მოითხოვს, თვითეული ერი თავის ნაციონალურ საქმეს საერთო ხალხის სურვილისამებრ გადაწყვეტს მოითხოვს და ამ შემთხვევაში მას ვისიმე წყალობა, ვისიმე შეთავაზება არ სჭირია. მაგრამ დღეს ვილჰელმმა პოლონეთს თუ ასეთი პოლიტიკური საჩუქარი მიართვა, მხოლოდ იმ მოსაზრებით რომ მან აღმოსავლეთისაკენ ძლიერი ბუფერი—ზღუდე შექმნას და იგი თავის ბატონობის იარაღათ გამოიყენოს.

გერმანიის იმპერიალისტებმა დიდი ხანია მიზნათ დაისახეს აღმოსავლეთისაკენ ტერიტორიის გადიდება და იქ ახალი ბაზრების შექმნა. ამ მიზნის განახორციელებლათ ისინი მსოფლიო ომში ჩაერივნენ და აღმოსავლეთისაკენ მრავალი ტერიტორიები დაიპყრეს. რომ ეს დაპყრობილი ადგილები შემდეგშიაც თავისი ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობის გავლენის ქვეშ იყოლიონ და აქედან მახლობელ აზიურ სახელმწიფოებში ფეხი მოიკიდონ—ისინი პოლონეთს დამოუკიდებლობას აძლევენ და მას მოკავშირეთ იხდიან. ისინი ამ წვრილ მოწყალებასაც ვერ გაიმეტებდნენ, მაგრამ მომავალი საფრთხე, არსებული საერთაშორისო პოლიტიკური პირობები მათ იძულებულს ხდიან დათმობის გზას დაადგნენ.

მაგრამ გერმანიისა და ავსტრიის მთავრობის პოლონეთის შესახებ ასეთი რესკრიპტი ვერც პოლონეთის და ვერც საერთაშორისო დემოკრატიის სურვილს ვერ დააკმაყოფილებს. რუსეთის დიდი რევოლუციის შემდეგ რუსეთის რევოლუციონურმა კლასებმა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი ერთა თვით გამორკვევის პრინციპზე აგებული მოითხოვეს და მას მთელი მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოების დემოკრატია გამოეხმაურა. დღეს საერთაშორისო დემოკრატიის ხმა გაცილებით ძლიერია, ვიდრე ეს პოლონეთის სახელმწიფოს განაწილების ანდა პოლონეთის აჯანყების დროს იყო.

მაშინაც კი საერთაშორისო დემოკრატიის ხმა მედგრად გაისმოდა და ძველი ინტერნაციონალი პოლონეთის დამოუკიდებლობას მოითხოვდა. კარლ მარქსი და მისი იდეიური თანამოაზრენი პოლონეთის დამოუკიდებლობაზე ბევრს ლაპარაკობდენ და მრავალ მანიფესტებს უშვებდნენ. კარლ მარქსმა ბაზელის საერთაშორისო კონგრესისათვის პოლონეთის საკითხის შესახებ განსაკუთრებული, მეტად საყურადღებო მოხსენება მოამზადა, რომელშიაც შემდეგი სწერია: პოლონეთის დამოუკიდებელ არსებობაში მთელი ევროპის მუშათა კლასია დაინტერესებული, ვინაიდან ევროპას ყველა დიდი სახელმ. და მათი მოსარჩლე პრესა აგიტაციას ეწევა, რომ ევროპაში მცხოვრები წვრილი ერები დაიმორჩილონ [illegible] გამოიყენონ. თვით ირლანდიაც კი მონათ გაიხადეს. მიუხედავათ ამისა ევროპის განათლებული კლასებიც კი ერთ დროს პოლონეთის დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ, რათა ამ გზით რუსეთის ძველი მთავრობის საფრთხე თავიდან აეცდინათ და მისთვის საშუალება არ მიეცათ ევროპა გადაელახა. მით უმეტეს დაინტერესებულია გერმანიის დემოკრატია,—ამბობს მარქსი, რომ მან პოლონეთის დამოუკიდებლობა მოითხოვოს.

მას შემდეგ განვლო რამოდენიმე ათმა წელმა და მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, ახლა რუსეთის საფრთხე აღარ არსებობს, ძველი მთავრობა მოისპო და ევროპის დემოკრატიას რუსეთის ბარბაროსული მთავრობისა აღარ ეშინიან. პირიქით, რუსეთის რევოლუციონური დემოკრატია, რუსეთის „წითელი მამალი" ერთა თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელებას მოითხოვს და მთელ ევროპის დემოკრატიას აქეთ მოუწოდებს.

ახლა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას გერმანიის იმპერიალიზმი ეღობება წინ და საერთაშორისო დემოკრატია მისგან ერთა თავისუფლებას არ მოელის, გერმანიის პოლონეთის თავისუფლების შესახებ რესკრიპტს უნდობლობას უცხადებს და იგი თითონ მოითხოვს ყველა ერების დამოუკიდებელ არსებობას.

კონტრ-რევოლუციონერთა გამოსვლა.

(გაზეთებიდან)

28 აგვისტოს დილით სადგურ პავლოვსკში ცნობა მიიღეს, რომ სადგურ დნოდან პეტროგრადისაკენ კორნილოვის მომხრე ჯარები დაიძრა. ამავე დროს ბრძანებაც გაიცა რკინის გზის გაფუჭების შესახებ. 42 ვერსის მოშორებით პეტროგრადიდან სად. სუშჩინოსა და სუსანინოს შუა რკინის გზის მოსამსახურეებმა სამ ადგილას აჰყარეს ლიანდაგი და ზედ რკინის გზაზედაც რამდენიმე შეშით და ფიცრებით დატვირთული ვაგონები გადააბრუნეს. მოსამსახურეებმა ოჯახობა პეტროგრადში გაგზავნეს, თითონ კი თავიანთ ადგილებზე დარჩნენ. ნაშუადღევს 4 საათზე ცნობა მიიღეს, რომ სად. ვირიცით ორი ეშელონი აჯანყებული ჯარებისა მოდიოდა. ვინაიდან აჯანყებულ ჯარებში მუსულმანები იყვნენ, პეტროგრადიდან გამოგზავნეს მათ შესახვედრათ მუსულმანთა დელეგაცია. ამავე დროს სახელდროო ორგანიზაციის ორი წევრი იქნა გაგზავნილი, რომელთაც თან გაჰქონდათ კონვერტში დაბეჭდილი მიწერილობა კორნილოვისადმი. 6 საათზე სად. სემრინოსთან ერთ და იმავე დროს მივიდნენ: პეტროგრადის მუსულმანთა დელეგაცია, აჯანყებულ ჯარებიდან კი მზვერავი რაზმი, რომელშიაც ოფიცრები იყვნენ. დელეგაციამ სთხოვა ოფიცრებს, რომ ისინი წაეყვანათ აჯანყებულ ჯარის-კაცებთან. ოფიცრებმა დელეგატებს პატიოსანი სიტყვა მისცეს, რომ ხელს არ გახლებთ და გაუდგენ სადგურ სუსანინოსკენ. როგორც კი ისინი აშლილ გზასა და გადაბრუნებულ ვაგონებს განშორდენ, გამოვიდა აფიცერთა ერთი ჯგუფი და დელეგაცია გააჩერა და შეეკითხა—სადით მიდიხართო. როცა გაიგეს რაშიაც იყო საქმე, აფიცრებმა დელეგატებს წინადადება მისცეს: რაც სათქმელი გაქვთ ჩვენ გვითხარით, ჯარის-კაცებთან არ გაგიშვებთ, ჩვენ თითონ გადავცემთ მათ საქმის ვითარებასო. რამდენიც არ უმტკიცეს დელეგატებმა აფიცრებს საწინააღმდეგო, მაინც ვერას გახდენ. გაიმართა მათ შორის ცხარე დავა. კავკასიის დივიზიის აფიცრები ამბობდენ,—რომ ჩვენ მივდივართ დავიხსნათ რუსეთი დროებითი მთავრობისაგან, რომელიც ეს ექვსი თვეა სამშობლოს ჰყიდის ნაწილათ და ნაწილ-ნაწილათაო. მუსულმანთა დელეგაცია კი მათ უმტკიცებდა, რომ ამ ბრძოლაში ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, დაბოლოს დაზარალდებიან, დაიღუპებიან მთიული მუსულმანები, რომლებსაც რუსეთისადმი არავითარი სიძულვილი არ აქვთო. აფიცრები მაინც ამტკიცებდნენ თავისას გაიძახოდნენ კმარა ლაყბობა ჩვენ წამოვედით, რომ ვიმოქმედოთ, საქმე ვაკეთოთ და არა ვილაყბოთო. გენერალ კორნილოვს ჩვენ გამარჯვებისაკენ მივყავართ და გავიმარჯვებთ კიდევაცო. ამათ არ უშვებდა მათ დელეგაცია. აფიცრები ამბობდენ: თუ რკინის გზა გაფუჭებულია, ეს ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის,—ქვეითად გავილაშქრებთო. საღამოს 8 საათზე მათ შორის მოლაპარაკება შეწყდა და დელეგაცია უშედეგოთ დაბრუნდა სად. სემრინოში. როცა დელეგატები ვაგონებში ჯდებოდენ, მათთან მივიდა აფიცერი და განუცხადა, რომ შეგიძლიათ დელეგატებით დალაპარაკოთ დივიზიის უფროსს გენ. ბაგრატიონსო. მოლაპარაკების დროს აფიცრები ცდილობდენ თავიანთი მთიული ჯარისკაცები მოეშორებინათ გაეჩერებინათ დელეგატებისაგან. ისე კი, ხშირათ უახლოვდებოდენ მთიული ჯარისკაცები დელეგატებს და სხვადასხვა შეკითხვებს აძლევდენ, მაგ., ეხლა ხომ „დილიდან არ დაიძრათო" და ხშირათ მათ გაგონებისაკენაც მიდრეკებოდენ. დელეგატებმა განუცხადეს, რომ გენ. ბაგრატიონს პავლოვსკის სადგურიდან დელაპარაკებიანო. ამის შემდეგ მუსულმანთა დელეგაციის ორი წევრი პეტროგრადში გაემგზავრა, რომ სამხედრო მინისტრისთვის მოხსენება გაეკეთებინა, რამდენიმე დელეგატები იქვე დარჩნენ, რომ დივიზიასთან დამოუკიდებელი კავშირი გაებათ. სად. პავლოვსკში იმ ხანად მთავრობის მომხრე ჯარები მოდიოდენ ზარბაზნებით და რკინის გზის ლიანდაგის მიდამოებში პოზიციებს აწყობდნენ. მუსულმანთა დელეგაცია მეორე დღეს გაემგზავრა სად. სემრინოში მოსალაპარაკებლად. ამ დელეგატთა შორის იყო ცნობილი შამილის შვილის შვილი. ამ დღეს დილით სემრინოდან სად. კუპრელოვოში აჯანყებულ ჯარის ცხენოსანი მზვერავები წავიდნენ. გზაში ისინი გლეხებს ეკითხებოდნენ: ახლო-მახლო მთავრობის მომხრე ჯარი ხომ არ არისო. 10 საათ. სად. კუპრელოვოდან ისინი სად. ანტროპშინოსკენ გაემგზავრნენ. ამ დროს სად. სემრინოში დელეგაციას მოლაპარაკება ჰქონდა ინგუშის პოლკთან. ჩვენ დისციპლინას ვიცავთ, უფროსებს ვემორჩილებით და თან ვფიქრობდით—მთავრობის დასაცავათ მივდივართ ბოლშევიკებისაგანო—სთქვეს ინგუშებმა. ვინაიდან რიგასთან მდგომარეობა საძნელო იყო, გვიბრძანეს სამხრეთ ფრონტისაკენ დაიძრითო. ჩვენც წამოვედით. სად. დნოში გვითხრეს: შეიძლება პეტროგრადში მოგვიხდეს წასვლა, ვინაიდან იქ ბოლშევიკების აჯანყებაა და უნდა დროებით მთავრობას დავეხმაროთო. აქვე გვითხრეს, რომ ჩვენ ყუმბარები გვესროლეს და ათი კაცი მოგვიკლესო. დელეგატებმა აუხსნეს მათ, რომ ეს პროვოკაცია იყო, ამით სურთ ჯარის ერთი ნაწილი მეორეს წააკიდონო და სხ. ასეთ პროვოკაციას თქვენ სიფრთხილით უნდა მოეპყრათო. სემრინოდან დელეგაცია სუსანინოში ქვეითად გაემგზავრა და ორ საათს ელაპარაკა ჩერქეზების პოლკს. აქედან დეპუტაცია გაემგზავრა სად. ვირიცაში სადაც ჯარის შტაბია. იქ დეპუტაციამ ჯარებს მოახსენა გუშინდელი საერთო მდგომარეობის შესახებ და ურჩია მათ ნუ მიიღებენ მონაწილეობას კორნილოვის ავანტიურაში. მთიულებმა უპასუხეს: ყოველ შემთხვევაში, ჯერ არავითარ ნაბიჯს არ გადავდგამთ, დაველოდებითო. ჯარებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ გენერალი კორნილოვი თითონ გადაუდგა დროებით მთავრობას და თქვენც კი

საერთაშორისო ომი.

რიგის მიმართულებით მხოლოდ მოწინავე რაზმები იბრძვიან. რუსის ჯარი იერიშებს იგერიებს და ზოგიერთ ადგილებში წინ მოიწევს მდ. აას ჩრდილოეთით რუსის ჯარმა რამდენიმე სანგარი დაიკავა. დანარჩენ ფრონტზე დრო გამოშვებითი სროლაა.

რუმინიისა და კავკასიის ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

საფრანგეთის ფრონტზე—ინგლისის ჯარი გერმანელების იერიშებს იგერიებს.

ავსტრია-იტალიის ფრონტიდან ცნობა არ მოსულა.

მორჩილებას მოითხოვსო. წინა დღით დელეგაციასთან მოლაპარაკების შემდეგ კორპუსის უფროსმა თავადმა გაგარინმა მიიწვია თავადი ჭავჭავაძე და უბრძანა დაეპატიმრებინა მას მუსულმანთა დელეგაცია. მიუხედავათ დაჟინებითი ბრძანებისა, ჭავჭავაძემ და მთიულებმა უპასუხეს, რომ დელეგატების ხელის შეხება ჩვენს ადათში არ სწერია და არც ბრძანებას შევასრულებთო.

დეპეშები.

(პ. ტ. ს.)

5 სექტემბერი.

საბჭოების და სხვა ორგანიზაციების კრება.

ჰელსინგფორსი. დეპუტატთა საბჭოების და სხვა ორგანიზაციების კრებაზე განიხილეს საკითხი მთავრობის კრიზისის შესახებ. დაესწრო 600 დელეგატი. მიიღეს ბოლშევიკების რეზოლიუცია 570 ხმით. ფლოტის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლებმა გაჰკიცხეს თვითგასამართლება, რომელსაც ადგილი ჰქონდა იქ.

დატუსაღება.

მინსკი. კორნილოვის სასარგებლოთ აგიტაციისათვის დაატუსაღეს დონის ყაზახთა მეოთხე პოლკის უფროსი პოლკოვნიკი მიხაილოვი.

მთიელთა დივიზიის შესახებ.

პეტროგრადი. მთიელთა დივიზიის მოქმედების შესახებ ამტკიცებენ, რომ მისი კორნილოვის ჯარში მონაწილეობა აიხსნება მით, რომ მთიელთა დივიზია სასტიკ დისციპლინის ქვეშ არის აღზრდილი და თითქო ის ძველი რეჟიმის მომხრე იყოს, ტყუილია.

ბალტიის ფლოტის დეპეშა.

პეტროგრადი. მინისტრთა თავმჯდომარემ ბალტიის ფლოტიდან დეპეშა მიიღო, რომ ის შეასრულებს დროებით მთავრობის ყველა ბრძანებას.

დატუსაღება.

ადესა. რომ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლას ადგილი აღარ ჰქონდეს, დაატუსაღეს რამდენიმე პირი და მათ შორის დივიზიის უფროსი პოდპოლკოვნიკი იურიევი.

კალედინი და ყაზახები.

ნოვოჩერკასკი. ყაზახებმა მიიღეს სამხედრო მინისტრ კერენსკის ბრძანება კალედინის დატუსაღების შესახებ. მოიწვიეს ყაზახთა ჯარების მთავრობის კრება ამ ბრძანების შესახებ მოსალაპარაკებლათ. გზას, რომელზედაც კალედინმა უნდა გაიაროს, ყაზახები იცავენ. შესახვედრათ წავიდა ყაზახთა ასეული. ყაზახთა ჯარების მთავრობამ დაადგინა შეატყობინოს დროებით მთავრობას, რომ ვერხოვსკის ბრძანებას კალედინის დატუსაღების შესახებ არ შეასრულებს, რადგან ჯარების ატამანმა უნდა პასუხი აგოს 3 სექტემბერს მოწვეულ ყაზახთა ჯარების კრების წინაშე. 1 ლ სექტემბერს მოხდა ნოვოჩერკასკის ყაზახთა ჯარების უფროსთა კრება. კრება დახურული იყო და მისი დადგენილება დიდი საიდუმლოებით არის მოცული.

მოწოდება ყაზახებისადმი.

მოსკოვი. ოლქის ჯარების უფროსმა პოდპოლკოვნიკმა რიაბცოვმა შემდეგი მოწოდებით მიმართა დონის და ასტრახანის ყაზახებს: „თქვენ სათამაშო საგნათ გაუხდიხართ. თქვენ გატყუილებენ. დღეს ყველამ იცოდეს, რომ კორნილოვის ღალატურ გამოსვლას ბოლო მოეღო. 1 სექტემბერს კორნილოვი და მისი მთავარი მონაწილენი დაატუსაღეს მთავარ შტაბში. სადაც მათ გაასამართლებს სამხედრო-რევოლიუციონური სასამართლო, მთელი მომქმედი ჯარი ფრონტზე და ყაზახები დროებით მთავრობის მხარეზე არიან. ეხლა, როცა ფრონტზე გაჩაღებული ბრძოლაა, თქვენ გგზავნიან სახლში ძმათა სისხლის დასაღვრელათ და სამარცხვინო საქმის ჩასადენათ. ნურაფერს ნუ დაუჯერებთ მოღალატეებს, სიმართლის, და რუსეთის თავისუფლების სახელით მოვითხოვ დაუყოვნებლივ დაიჭიროთ გენერალი კალედინი და დაიმორჩილოთ ის ჯარები, რომლებიც მთავრობას არ მოუწევიან. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს ისე მოექცევიან, როგორც მოღალატეს.

კერენსკი მთავარ შტაბში.

პეტროგრადი. კერენსკი მთავარ შტაბში წავიდა. საგანგებო საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარე დღეში ორჯერ აძლევს მას კორნილოვის საქმის მიმდინარეობას. ყველა დაპატიმრებული სასტიკ დაცვის ქვეშ მოგილევის ერთ სასტუმროში არიან.

გაფიცვა.

ნიჟნი ნოვგოროდი. სორმოვის ქარხანაში გაფიცვა გამოცხადდა. რადგან საშუალება აღარ არის, ქარხანა დაიხურა. 5 სექტემბერს მუშებს ანგარიში ჩააბარებენ.

შეთქმულთა საქმის გამოძიება.

ხარკოვი. შეთქმულთა საქმის გამოძიების საქმე ენერგიულად სწარმოებს. გადაწყვეტილია სამართლის სრული გარანტია მისცენ დამნაშავეთ. გენერალი მარკოვი შუამდგომლობს, დამცველათ მიიწვიონ მაკლაკოვი ან ტესლენკო.

ამერიკელი მუშების დეპეშა.

ლონდონი. ვაშინგტონიდან იტყობინებიან რომ მუშათა ცნობილმა ბელადმა გომპერსმა დეპეშით აცნობა კერენსკის, ამერიკის მუშათა ფედერაციის უკანასკნელ კონფერენციის რეზოლიუცია, რომლითაც აღუთქვამენ მხარი დაუჭირონ რუსეთის დემოკრატიის მუშათა კლასს.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 4 სექტემბერი. რიგის მიმართულებით მოწინავე რაზმები იბრძვიან. ჩვენი რაზმები ადგილებს ინარჩუნებენ და ზოგან წინაც მიიწევიან. მდ. აას ჩრდილოეთით, გაისალიას სამხრეთ-დასავლეთით სასაფლაო დაიკავეს. ლუდის მიმართულებით, საზილკას პოზიციებზე მტერს თავს დავესხით.

რუმინიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ლონდონი. 2 სექტემბერი. საფრანგეთის ფრონტზე, სენ ქუენტენის ჩრდილო-დასავლეთით წინ წავიწიეთ. იპრის დასავლეთით საარტილერიო სროლაა.

ლონდონი. 3 სექტემბერი. ინვერნეს ტყის დასავლეთით 30 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ნევტიტელის რაიონში ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. აქ პორტუგალიის ჯარი მამაცათ იბრძოდა.

არმანტიერას სამხრეთით მტერი დავამარცხეთ და უკან დაიხია.

ლონდონი. 3 სექტემბერი. ლენსის ჩრდილოეთით მტერმა იერიშები მოიტანა, ჩვენმა ჯარმა იერიშები მოიგერია.

იპრის აღმოსავლეთით საარტილერიო სროლაა.

ახალი ამბები

კავკასიის რევოლიუციონური კომიტეტი შემდეგს აცხადებს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის გადაყენების გამო: „კავკასიის დროებით რევოლიუციონურ კომიტეტმა „ზურგში“ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების და ფრონტზე კორნილოვის აჯანყების ამ მძიმე განსაცდელის დღეებში გადასწყვიტა მთელი ძალა-უფლება კავკასიაში აიღოს თავის ხელში. ბუნებრივია, რომ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი უნდა გარდაიქმნას ახალ საფუძველზე. კომიტეტში უნდა შევიდნენ რევოლიუციონურ და სოციალისტურ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ საკითხის გამო რევოლიუციონურ კომიტეტმა უკვე იქონია დამოკიდებულება დროებით მთავრობასთან. დროებით მთავრობის მიერ ამ საქმის გარჩევამდე და ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის გარდაქმნამდე, ეს კომიტეტი განაგრძობს თავის პოსტზე დარჩენას წინანდელ შემადგენლობით. ამიტომ მთავრობის ყველა ორგანოებმა წინანდებურათ უნდა მიმართონ თავის საქმეების გამო ამ. კავკ. საგანგებო კომიტეტს, ვინაიდან. უნდა ახსოვდეთ, რომ არც ერთ ადგილობრივ დაწესებულებაში მუშაობა ერთი წუთითაც არ უნდა შეწყდეს“.

◆ **ქუთაისის ქალაქის თავად არჩეს** სოციალ-დემოკრატი დ. კალანდარიშვილი, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ—ალ. ჯაფარიძე (სოც.-დემ.).

◆ **ამხანაგებისადმი.** ვინაიდან ამ მოკლე ხანში რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა უნდა გამოუშვას ანგარიში პარტიის შემოსავალ-გასავლისა, თფილისის კომიტეტის მდივანი სთხოვს ყველა იმ ამხანაგებს, რომლებსაც წაღებული აქვთ პარტიის წევრთა ჩასაწერი წიგნაკები (ჩეკები) სულ ერთია, წიგნაკები წაღებული აქვთ თფილისის კომიტეტისაგან, ერთ-ერთ ჩვენი რედაქციიდან თუ რომელიმე კერძო პირისგან, უნდა დააბრუნონ აგრეთვე წიგნაკები საარჩევნო ფონდის შემოწირულებათა ჩასაწერი, რომ ხელი არ შეუშალონ ანგარიშის დროზე გამოსვლას და მით არ შეაჩერონ საჭირო მუშაობა კომიტეტისა და რაიონულ ორგანიზაციებისა. წიგნაკები უნდა მოიტანონ თფ. კომიტეტის ბიუროში (გოლოვინის პრ. № 12).

◆ **სურამიდან** რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „მოქალაქეთა მრავალ-რიცხოვანმა მიტინგმა, იქონია რა მსჯელობა შექმნილ მდგომარეობაზე, დაადგინა მოითხოვოს სასტიკი ბრძოლა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, საპატიო ზავის დაჩქარებით ჩამოგდება და დამფუძნებელი კრების დაუყონებლივ მოწვევა. სოციალ-დემოკრატიული ბიურო“.

◆ **მოწოდება.** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციამ შემდეგი მოწოდება გამოუშვა: „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებს თქვენ, რევოლიუციის 6 თვის თავის აღსანიშნავათ გადასდოთ რევოლიუციის საჭიროებისათვის ერთი დღის შემოსავლის ნახევარი. თვითეულ მუშის ვალია ამ საბედისწერო შავბნელ დღეებში გამოეხმაუროს ამ მოწოდებას. ამხანაგებო, გახსოვდეთ, რომ რუსეთის რევოლიუციის სრულ-უფლებიან ორგანოს გამაგრებით, თქვენ იხსნით რევოლიუციასა და სამშობლოს კონტრ-რევოლიუციისაგან და სამხედრო დარბევისაგან. შემოწირულება მიიღება თფ. მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოში.

◆ **ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის** გამგეობამ 2 სექტემბერს დაადგინა შეკრიბოს წევრთა შორის ერთი დღის ხელფასის ნახევარი საბჭოთა სასარგებლოთ. ამავე სხდომაზე მიმდინარე მომენტის შესახებ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია, „რომ თფილისის მუშები წარმოადგენენ ნამდვილ ძალას რევოლიუციისათვის მხარის დასაჭერათ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში, ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობას საჭიროთ მიაჩნია მუშათა გვარდიის დაუყონებლივ მოწყობა და წინადადებას აძლევს კავკასიის რევოლიუციონურ კომიტეტს მოკიდოს ხელი ამ საქმეს და აღუთქვამს მას დახმარებას მუშათა გვარდიის შექმნაში“.

◆ **ს. ბახვში** (ოზურგეთის მაზრა) 7 სექტემბერს დღის 12 საათიდან ადგილობრივ ორკლასიან სასწავლებლის ბაღში გაიმართება სახალხო სეირნობა სახალხო სახლის ფონდის გასაძლიერებლათ.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** რადგანაც ფული არ გამოგზავნეს, დღეს უკანასკნელათ იგზავნება გაზეთები: ბელაგორში, კარაკლისში, გუდაუთში, სოხუმში, ზუგდიდში და ბახვში.

◆ **ღვინის გაყიდვის გარშემო.** მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს მილიციის უფროსს, რომ ღვინის კომისიის წევრების მიერ ღვინის შესაძენათ მიცემულ ნებართვას ძალა არა აქვს კომისიის გაუქმების გამო და ნებართვის ქაღალდები უნდა დაუბრუნდეს საუბნო სასურსათო კომიტეტების თხოვნით აღმასრულებელ კომიტეტს.

◆ **სათბობი მასალის ნაკლებობის გამო** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის დადგენილებით აკრძალულია კინემატოგრაფების წინა ნაწილის განათება, გარდა „ვიველსკისა“.

◆ **მოზრდილთათვის** საღამოს კურსებზე (სამასწავლებლო ინსტიტუტის შენობაში) მეცადინეობა დაიწყება 11 სექტემბრიდან.

◆ **წიგნებისა და პერიოდულ გამოცემების ანგარიში** პეტროგრადში არსებული წიგნების პალატა სთხოვს მილიციის უფროსს აცნობოს მას თფილისში 1 მარტიდან გამოსულ ბეჭდვითი ნაწარმოებთა სია. ამასთანავე აღნიშნული უნდა იქნას ნაწარმოების სახელი, რომელ ენაზეა დაწერილი, როდის არის გამოცემული, ფასი, სტამბისა და რედაქციის ადრესი.

◆ **ქართველ მსახიობთა პროფესიონალურ კავშირის** საბჭომ თავის სხდომაზე 4 აგვისტოს განიხილა აწ გარდაცვალებულ ანასტასია ალექსანდრეს ასულის მაჩაბლის დიდი ღვაწლი ქართული თეატრისადმი და მისი დაუღალავი ზრუნვა ქართველ მსახიობის ნივთიერ და სულიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და დაადგინა: პირველ პენსიას, რომელსაც მსახიობთა კავშირი დაუნიშნავს რომელიმე მსახიობს, დაერქვას ანასტასია ალექსანდრეს ასულის მაჩაბლის სახელობის პენსია, ხოლო გვირგვინის ნაცვლად 25 მანეთი გადაეცეს ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს გამგეობას.

◆ **სახალხო სახლთან არსებული ქართულ წარმ. მმართ წრე.** 2 სექტემბერს, შესდგა ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის სცენის მოღვაწეთა დამფუძნებელი კრება. როგორც ვიცით, გასულ სეზონის ხელმძღვანელი გამგეობის წევრები ამ რევოლიუციის დროს ჩაბმულნი დარჩენ სხვადასხვა საზოგადო საქმეებში და რევოლიუციონურ ორგანიზაციებში. ამიტომ წელს ახალი სეზონის დასაწყისის სამზადისი თვით სცენის მოყვარეებმა იკისრეს. ამ მოსაზრებით იყო მოწვეული ეს კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ვ. ნინიძე, მდივნათ ვ. მინდიაშვილი. კრებაზე განხილულ იქნა სეზონის დასაწყისისათვის სამზადისი და თადარიგი. გამომუშავებულ იქნა მომავალ მოქმედების გეგმა. კრებამ აირჩია 7 კაცისაგან შემდგარი ბიურო, რომელსაც დაევალა სცენის მოყვარეთა ძალების შემოკრება სექციის გარშემო, რეპერტუარის გამომუშავება. პირველი წარმოდგენებისათვის და აგრეთვე ყოველ მხრივ გაცნობა წრის საქმეების მდგომარეობისა ძველი გამგეობის წევრთა დახმარებით. ერთი სიტყვით, ამ ბიუროს დაევალა მოქმედებას შეუდგეს და სეზონის გახსნის საქმე მოაწესრიგოს. აღმასრულებელ ბიუროში არჩეულ იქნენ: კ. შათირიშვილი, ვ. ნინიძე, ნ. გოცირიძე, ს. რომანიშვილი, ვ. მინდიაშვილი, კ. სადირაშვილი და ალ. ბადრიძე. სეზონის გახსნა დანიშნულია 17 სექტემბერს.

◆ **სამგლოვიარო წერილი.** ცხარე ცრემლებით დავსტირი ძვირფას ამხანაგის ილიკო ქუთათელაძის გაციებულ გვამს. ზიზღი მტარვალებს და ნაძირალებს, რომლებმაც ვერაგულათ მოგვიკლეს და ხელიდან გამოგვაცალეს უანგარო, თავდადებული მუშაკი. უკვდავი იქნება შენი ხსოვნა, ძვირფასო ამხანაგო, შენს თანამოაზრეთა გულში. ნიკო წიწიძე.

კრებები და მიტინგები.

— ხვალ, საღამოს 7 ს., სახალხო სახლში დანიშნულია მ. და ჯ. კ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის წევრთა საერთო კრება, დღის წესრიგი: 1) პრეზიდიუმის მოხსენება, 2) მომრიგებელი კამერა, 3) მინისტრ სკობელევის განკარგულება მუშების მიღება-დათ-

---

გერასიმე

(ეტიუდი)*)

IV

რევოლიუცია დღესასწაულობდა გამარჯვებას...

სოფელში იმართებოდა ხშირი კრებები და ხალხს უხსნიდნენ მომენტის მნიშვნელობას.

ეხლა საეჭვო არავისთვის იყო, რომ მეფე ნიკოლოზი უკვე აღარ მეფობდა და მის მაგიერ სახელმწიფოს სათავეში იდგნენ ისეთები, რომლებსაც ხალხის ჭირ-ვარამი გაეგებოდათ.

სოფელმა თავდაპირველად მიწის საკითხი წამოაყენა და აქა-იქ შეუდგნენ ამ საკითხის თავისებურად გადაჭრას. იმ ორიოდე მემამულეს, რომლებიც ამ სოფელში ცხოვრობდნენ, გლეხებმა მიწის ღალა საგრძნობლად შეუმცირეს. შეუტიეს მღვდლებს და დრამა ფულზე უარი უთხრეს. მერე, ხალხის შემაწუხებელი პიროვნებანი გააძევეს და სოფელმა მცირე ხნით შვებით ამოისუნთქა. მალე პოლიტიკური გადასახლებულნი დაბრუნდნენ და სოფლის ცხოვრებაში ჩაუდგნენ.

— რაკი ეს დაკარგულნი **) გაანთავისუფლეს—მაშასადამე, ძველი მთავრობას მართლა გაფუჭებია საქმე. ვერ ხედავ, რომ რასაც ლაპარაკობს ერთობის ხალხი, მართალია! არწმუნებდნენ ერთმანეთს სოფლელები.

სოფელი თანდათან ითვისებდა საერთო სიხარულს და იმედით გაიცქირებოდა წინ.

გერასიმეც მოელოდა სოსოს დაბრუნებას.

— აი, სოსო დაბრუნდება და ის გვეტყვის ყველაფერს, ეუბნებოდა გერასიმე მეზობლებს.

მაგრამ ერთს დღეს გერასიმემ სოსოსაგან წერილი მიიღო, რომელიც ატყობინებდა მამას, რომ ის ცოტა ხნით კიდევ დარჩებოდა რუსეთში, რადგან იქაურ აღმასრულებელ კომიტეტში იყო არჩეული.

— ამ უზარმაზარი ქალაქის ბედ-იღბალი მე ჩამაბარეს და, რადგან რევოლიუციას უნდა ვემსახურო, ამიტომ იძულებული ვარ ცოტა ხნით დავრჩე აქ. მალე მანდ ვიქნები და თავისუფლებას მოგილოცავთ,—სწერდა სოსო.

გერასიმეს ერთის მხრით ესიამოვნა, რომ სოსო დიდ ქალაქში და, ისიც რუსეთში, აღმასრულებელ კომიტეტის წევრათ იყო და ამით მოხუცის თავმოყვარეობა კმაყოფილდებოდა, მაგრამ მეორე მხრით, გერასიმეს ერჩივნა, სოსო რომ ჩამოსულიყო და ოჯახს დახმარებოდა რითიმე.

— რა გაეწყობა! თვითონ უფრო იცის თავის საქმე. რომ მენახა ერთი, კარგი კი იყო,—ჩაილაპარაკა მან, რადგანაც ეფროსინემ სოსოს გრძელი წერილი წაუკითხა მას.

სოსოს წერილმა მალხაზიც მოაგონათ. მალხაზას ნახევარი წელიწადი იქნებოდა, რაც წერილი არ მოეწერა. შინაურებმა არ იცოდნენ, სად იმყოფებოდა ის. არა ერთხელ გაგზავნეს წერილი ძველი მისამართით, მაგრამ პასუხი არ იყო. ეხლა კი მალხაზას ბედმა მთელი ოჯახი ჩააფიქრა და მწარეთ დააღონა.

— რა გვეშველება, რომ რამე მოუვიდეს,—წამოსცდა ცრემლმორეულ ეფროსინეს.

გერასიმესაც ეს აზრი უტრიალებდა თავში და ეხლა რძლის სიტყვებმა დაადასტურა მოხუცის შავი ფიქრი. გული შეეკუმშა გერასიმეს, მაგრამ ოხვრა შეიკავა და მშვიდათ სთქვა:

— წავალ, ჩვენს მიხას ვსთხოვ გაზეთ „ერთობაში“ გამოაცხადოს მალხაზას ამბავი. ამ გაზეთში ხშირათ სწერენ დაკარგულ ჯარისკაცების შესახებ ცნობებს. წაიკითხავენ გაზეთს და მალხაზას ამბავის მცოდნე ალბათ იქნება ვინმე,—აი ასეთი შეგვატყობინებს რამეს. ომი, ჩემო რძალო, ღხინი კი არ არის. ჯარს ხან აქეთ გზავნიან, ხან იქით,—ყველგან კი ფოსტა არ არის და, შეიძლება, ამიტომ იგვიანებს მალხაზას წერილები.

გაზეთში გამოცხადება ძალიან ესიამოვნა ეფროსინეს. საჩქაროთ გამოსძებნა მან მალხაზას მისამართი და გერასიმე წასასვლელად დაიჩქარა.

— პური გამოიძლევანიო იქნება. გუშინ იძახდნენ, კოოპერატივს პური ექნებაო. დღეს ბავშვები მშივრები არიან და მართლა თუ არის პური წამოიღე, თორემ დაიხოცებიან ეს საცოდავები, სთქვა ეფროსინემ.

— მარტო ბავშვებს არ აღგვიათ ეს დღე. არც პური, არც სიმინდი არსად მოიპოვება, მიუგო გერასიმემ და ნაღვლიანათ გაუდგა გზას.

ეფროსინეს დაგვლილი ჰქონდა მთელი კუთხე. ზოგიდან სესხათ იღებდა, ზოგიდან კიდევ ყიდულობდა, მაგრამ ამ ბოლო დროს მეზობლებსაც გამოელიათ სიმინდი და ეფროსინესაც კარგა ხანია კეცი არ გაუხურებია.

პურის ფქვილის მოტანის ამბავი ვიღაცამ გაავრცელა წინა დღით და სოფელიც ახმაურდა. ხალხის დამშეული კუჭი ძალიანათ ამოქმედდა და დიდი-პატარა კოოპერატივისაკენ გაეშურენ.

გერასიმემ შორიდანვე შენიშნა, რომ კოოპერატივის წინ ხალხის თავი ბლომათ მოეყარა. ხალხის დანახვამ გაახარა ის, რადგან ეს გარემოება თითქოს ადასტურებდა პურის მოსვლის ამბავს. მაგრამ ახლოს რომ მივიდა, იმედი გაუცრუვდა. კოოპერატივის გამგ. მართლაც გაეგზავნა კაცი პურის ფქვილის მოსატანათ, მაგრამ ის ხელცარიელი მოსულიყო უკან.

— პურის ფქვილი არ იშოვება, იძახდა კოოპერატივის უფროსი ნოქარი. როგორმე ცოტა ხნით კიდევ უნდა მოვითმინოთ. მოელიან რამდენიმე ვაგონ ფქვილს და ჩვენც გვაკუთნებენო. ანუგეშებდა სასოწარკვეთილ ხალხს იგი.

ხალხი კი ბორგავდა. ზოგი ხმა მაღლა ყვირილით გამოსთქვამდა თავის მწუხარებას და საყვედურს, ზოგი კიდევ ჩუმათ, ხელის ჩაქნევით, ჩიჩქოლი და მითქმა-მოთქმა სხვადასხვანაირი თანდათან ძლიერდებოდა.

გერასიმე ხის ძირას იყო ჩაყუდებული და ხალხის ბორგვას ხმაგაკმენდილი ყურს უგდებდა. მას ამ ჟამად პურის უშოვნობა ისე არ აწუხებდა, როგორც ზოგიერთების უაზრო საყვედური ერთობის ხალხის წინააღმდეგ მიმართული.

— ჰაა, შენი რევოლიუცია, თუ რაღაც ჯანდაბაა რას არ გვპირდებოდენ და ყველაფერი ტყუილი გამოდგა. არც ომი თავდება, არც სიძვირე კლებულობს და არც სხვა უბედურობა, იძახდა ერთი.

— გავდევნეთ მამასახლისი, მწერალი, მღვდელი, მაგრამ რა შეგვემატა. სოფელი შიმშილით წყდება და არავინ კი არ იხედება ჩვენსკენ. რა მოგვიტანა ერთობის გამარჯვებამ? ამ არეულობამ ამოაგდო სოფელი. წინათ ასეთი ამბები სად იყო? გაცხარებით გაიძახოდა მეორე.

— დავამტვრიოთ ეს კოოპერატივი, წაიპინებდა მესამე, ამ კოოპერატივმა გააძვირა ყველაფერი. ამის შიშით ვაჭრებს ვერაფერი მოუტანიათ და ამათ კი ვაჭრობის რა გაეგებათ. უნდათ შიმშილით ამოგვწყვიტონ.

და ასე, გაბოროტებულნი რას არ იძახდნენ, როგორ არ ილანძღებოდნენ.

გერასიმე დიდ ხანს იყო გაჩუმებული და გული ბოღმით ევსებოდა.

— წამოყვეს თავი ამ შეჩვენებულებმა, მიმართა მან მას ირგვლივ მოკალათებულ გლეხებს. შეხედეთ ყველაზე მეტათ ვინ ყვირის დღეს. ყოფილი მამასახლისის, მღვდლის და „სტრაჟნიკების“ მეგობრები. ხედავენ რომ ცუდი დრო დაუდგათ, მათ თარეშს ბოლო მოეღო და არ იციან როგორ იძიონ შური, სდიან მოუარონ ერთობას და ძველებურათ კიდევ ლახვარი ჩასცენ გულში ხალხის საქმეს. ჩემზე გაჭირვებული აბა ვინაა აქ? შვილისშვილები შიმშილით მეხოცებიან, რძალი ფეხზე ძლივსა სდგას, მე კუჭი გამიხმა ხანგრძლივი უჭმელობით, შვილი ომშია და ვინ იცის ცოცხალია თუ მკვდარი და ხომ ხედავთ ყველაზე ჩუმათ მე ვარ. აბა რომ ვიყვირო რა გამოვა. ვის უნდა დავაბრალო ჩემი უბედურობა! ვინც მე კარზე ასეთი ტანჯვა-ვაება მომაყენა—ისინი უკვე აღარ არიან და მადლობა ღმერთს, რომ აღარ არიან. რა დააშავეს ერთობის კაცებმა? ესენი ხომ დღე და ღამ ჩვენს საქმეს აკეთებენ. რა უნდა ჰქნან, რა უნდა გააკეთონ მეტი? განა ეს ხალხი არ ცდილობს მშიერ-მწყურვალნი არ ვიყოთ. განა გულით არ უნდათ ჩვენი უბედურობა გააქარწყლონ და ცხოვრება სამოთხისებურათ მოგვიწყონ? მაგრამ რა ჰქნან ვამბობ მე?! წლობით ძირს უთხრიდენ ჩვენს კეთილდღეობას ჩვენი მტრები. ნელნელა გამოგვაცალეს ყველაფერი, დაგვაუძლურეს, გაგვანადგურეს, გაგვინიავეს სახლ-კარი, გაძღენ ჩვენი სისხლით და ისე ჩაესვენენ სამარეში. ამგვარათ დანგრეულ საქმეს ერთ-ორ დღეს ან თვეებს ვერავინ გამოაკეთებს. ამას დანახვა უნდა, გაგება და არა ყვირილი და ლანძღვა-გინება.

წყნარი ბაასი გერასიმეს ცხარე მამხილებელ სიტყვათ გადაიქცა. ის ეხლა ფეხზე იდგა, თავი მაღლა ეჭირა და თეთრ წვერულვაშზე ხშირათ ისვამდა ხელს. კოოპერატივის წინ მოყაყანე ხალხი მის ირგვლივ შეჯგუფულიყო და სულგანაბული ისმენდა გერასიმეს სიტყვას. ის კი თავდავიწყებით განაგრძობდა:

— დანგრეულ, დამპალ სახლის მაგიერ რომ ახალი ხეირიანი შენობა დაიდგას, რამდენი დრო უნდა? ეკითხებოდა ის ხალხს. ჯერ არჩეული ადგილი უნდა გაიწმინდოს ძველი უვარგისი შენობისაგან. შემდეგ ახალისათვის საძირკველი უნდა [illegible] და მერე ნელნელა კედლები აშენდეს. ამის შემდეგ კიდევ სახურავი საჭირო რომ წვიმა-თოვლმა არ შეგვაწუხოს და სხვა ბევრი რამ. თუ ერთი პატარა ოჯახის მოსაწყობათ ამდენი დრო და შრომაა საჭირო—რამდენი დრო და შრომა დასჭირდება დანგრეულ, განადგურებულ სოფლის, კუთხის და უზარმაზარ სახელმწიფოს მოწყობას. ჩვენ გვშია და ვყვირით, მაგრამ იმას კი არ ვფიქრობთ ვინ არის ამაში დამნაშავე. ყველაფერი ეს ჩვენი ბრალია, რადგან დროზე ვერ მივხვდით ყველამ ვინ იყვნენ ჩვენი მტერ-მოყვარენი და დღემდის მხარს ვუჭერდით კიდევ იმათ, ვინც ჩვენი ნაამაგარით ივსებოდენ. ჩვენს უბედურებაში დიდი წილი გიდევთ თქვენ ბატონებო—აი იმათ, რომლებიც ძველ მთავრობას ემსახურებოდით და ხალხის ერთგულთ კი ერეკებოდით სოფლიდან. თქვენ დაღუპეთ ერთობა ამა თორმეტი წლის წინათ. თქვენვე გინდათ განიმეოროთ ეხლა ნაცადი ხერხი და ხალხის საქმე დაასამაროთ. მოგვშორდით აქედან, დაი-

---

*) დასასრული. იხ. „ერთობა“ № 138.

**) დაკარგულს ციმბირში გადასახლებულებს ეძახიან.

ხოვნის უფლების შესახებ, 4) აღმასრულებელ კომიტეტში წევრთა არჩევა, 5) ქალაქის სასურსათო კომიტეტში წარმომადგენლების არჩევა, 6) მიმდინარე საქმეები.

— ხვალ, საღამოს 8 ს., მე 6 სავაჟო გიმნაზიის შენობაში მოწვეულია პარტიული საზოგადო კრება, პირველი სამილიციო უბნის სოც.-დემოკრ. და თანამგრძნობებისა. მოხსენებას წაიკითხვენ მიმდინარე მომენტზე ქართულად ამხ. ა. ლომთათიძე და რუსულად ამხ. გეპშტეინი. მოხსენების შემდეგ გაიმართება ბაასი. საჭიროა ყველა ამხანაგების დასწრება.

— ხვალ, საღამოს 7 ს., ერთობის უბნის კლუბში ამხ. ი. ხელაძე წაიკითხავს უფასო ლექციას რ. ს.-დ. მ. პ. პროგრამის შესახებ.

— ხვალ, დილის 11 საათზე, ქალთა საეპარქიო სასწავლებლის შენობაში დანიშნულია საეკლესიო კრების დელეგატთა წინასწარი კრება.

რ. ს. დ. მ. პ. თფილისის ყველა რაიონულ ორგანიზაციების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა ორ სექტემბერს დაადგინა: დაჩქარებით მოწესრიგებულ და გამოქვეყნებულ იქნას როგორც კომიტეტის, აგრეთვე ყველა რაიონულ ორგანიზაციების სრული ანგარიში; ამასთანავე ყველა რაიონებში სასურველათ დაყენებულ იქნას საქმის წარმოება. ყველა ამის მოწესრიგება მიენდო ამხ. ივ. სინაურიძეს.

რომ ხელი არ შეეშალოს როგორც კომიტეტის, ისე რაიონების ნორმალურ მუშაობას, ამიტომ საჭიროა დაჩქარებით წარმოდგენილ იქნას კომიტეტში (გოლოვ. პროსპ., № 12, კომიტ. ბიურო) შემდეგი ცნობები: 1) წევრების სრული რაოდენობა თითოეულ რაიონში, სახელდობრ: რომელ თვეში რამდენი განსაზღვრული წევრები ითვლებოდა; 2) გვაცნობოთ რაიონის დაარსების დრო, ე. ი. როდის მოხდა პირველი დამფუძნებელი კრება, რომელზედაც არჩეულ იყო რაიონული კოლლექტივი; 3) შემოუტანია, თუ არა რაიმე გადასახადები თქვენს რაიონს თფილისის, ან საოლქო კომიტეტების სასარგებლოთ და, თუ შემოუტანია, როდის, რამდენი და რისთვის და 4) ყავს თუ არა რაიონს მუდმივი მდივანი და რა პირობებით.

თფ. კომიტეტის მდივანი ზ. ჩიჩუა.

პროვინციის ქრონიკა.

სოფ. მეტეხი (გორის მაზრა). 15 აგვისტოს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა. წინანდელ წარმოდგენის შემოსავლიდან ერთად თეატრის ასაშენებელ ფონდისთვის შეაგროვეს 277 მანეთი. უღრმეს მადლობას სწირავს თეატრის გამგეობა გ. თაზიშვილს, რომელმაც თეატრის ასაშენებლათ შემოსწირა 200 მან.

დ. ხიდისთავი (გურია). 8 მარიამობისთვეს ადგილობრივი სოციალ-დემოკ. ორგან. ხელმძღვანელობით გაიმართა დიდი მიტინგი. კრებას დაესწრნენ გ. შილაკაძე და ქალი ქავთარაძე. ორატორებმა განუმარტეს ხალხს დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა, და სხვა და სხვა პოლიტიკური საკითხები.

— ქალი ქავთარაძემ აქ წაიკითხა ლექცია „ქალთა საკითხზე“. ლექცია მეტად შინაარსიანი იყო, და ძალიან გასაგებ ენაზედაც იქნა წაკითხული. სასურველია ასეთი შინაარსიანი ლექციები ხშირად იკითხებოდეს აქ.

— 17 მარიამობისთვეს, ნაციონალ-დემოკ. ტიტიკო შარაშიძის მეთაურობით აქ გამართეს წარმოდგენა.

სოფ. ჭაგანი. 8 ენკენისთვეს სამტრედიის რაიონის კომიტეტის წევრის ამხ. კ. შენგელიას თანადასწრებით გაიმართა მიტინგი. მიტინგმა ამხანაგ ილიკო ქუთათელაძეს მკვლელებს ზიზღი გამოუცხადა და დაადგინა მკვლელები გაასამართლონ სამხედრო-საველე სასამართლოში. სასამართლოს დადგენილება სისრულეში უნდა მოიყვანონ თვით ჯიხაიში. აირჩიეს ერთი დელეგატი, რომელიც დაესწრება საქმის გარჩევას. ამასთანავე მიტინგი აცხადებს, სოფ. ჭაგანში 8 ენკენისთვის დღეობა უარყოფილია ვთხოვთ მოყვრებ-ნაცნობებს დაუპატიჟებლათ ნუღარ მოვლენ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში.

(დასასრული)

კამათში 22 ორატორმა მიიღო მონაწილეობა. რომ საკითხი სავსებით გამორკვეულიყო, ყველა მსურველს მისცეს საშუალება გამოეთქვა თავისი აზრი. ყველა ორატორები იზიარებდა მომხსენებლის დებულებებს. ბოლშევიკებიც შეუერთდენ მოხსენებას, აღნიშნავდენ მხოლოდ, ჩვენ ამას თავიდანვე მოვითხოვდითო. ამაზე მომხსენებელმა შესაფერი პასუხი გასცა.

მე განზრახ არ მოვიხსენიე ჩვენს შორის არსებული უთანხმოება—სთქვა მომხსენებელმა—ვინაიდან დღეს მათ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და ჩვენ კი გვაინტერესებს საკითხი, თუ დღეს რა ვაკეთოთ. მაგრამ ზოგიერთებმა მოახდინეს ერთგვარი ექსკურსია და ხოტბა შეასხეს ერთ მიმდინარეობას. ამიტომ მეც შევეხები ამ საკითხს. ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის დავა არ ყოფილა თეორიულ ნიადაგზე, უთანხმოებას იწვევდა მხოლოდ ტაკტიკა, თუ რა და როგორ გვეკეთებინა. ჩვენ იმ თავშივე ვამბობდით, რომ ბურჟუაზია გახდება კონტრ-რევოლიუციონური. მაგრამ მთელი კითხვა იმაში მდგომარეობდა, თუ როდის გადავიდოდა იგი კონტრ რევოლიუციონერთა ბანაკში. მდგომარეობა ასეთი იყო: არსებობდა ორი ფრთა, მარჯვენა და მარცხენა. მათ შორის ბრძოლა იყო ატეხილი იმ მასსის მისამხრობათ, რომელიც ამ ორ ძალთა შუა უჭირავს ადგილი. ჩვენ ვცდილობდით როგორმე ეს მასსა არ ჩამოგვეშორებინა. ჩვენ გვაქვს ორგანიზაცია, ვთქვათ 300 კაცისაგან შემდგარი. ეს ორგანიზაცია ვერაფერს ვერ გააკეთებს, თუ მას მასსა არ უჭერს მხარს. წინააღმდეგ შემთხვევაში ავანტიურისტული იქნება ამ ორგანიზაციის გამოსვლა. 3—4 ივლისის გამოსვლამ მასსა ჩვენ დაგვაშორა და გადახარა მარჯვნივ. კორნილოვის გამოსვლამ ჩვენს მოწინააღმდეგეებს ჩამოაშორა მასსა და იგი ჩვენ შემოგვიერთდა. რომელიმე მოქმედებას მაშინ შეუძლია დიდი საქმე გააკეთოს, როცა მას მხარს უჭერს ფართო მასსა. ჩვენ ვეუბნებოდით ბოლშევიკებს, რომ მათი ტაქტიკა ნაადრევია, მასსას არწმუნებს ფაქტები და არა სიტყვები. დღეს მასსამ დაინახა რომ ჩვენ ვიხსენით რევოლიუცია და დღეს იგი წამოვა ჩვენთან. ამიტომ დღეს შესაძლებელია საკუთარ ხელში ავიღოთ მართვა-გამგეობა.

შემდეგ მოხსენებელი უპასუხებს ამხ. დ. ხარტიშვილს, რომელმაც თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა, რევოლიუციის დაწყების დღიდან მომხსენებლის მხოლოდ დღევანდელი გამოსვლა მომაგონებს ჩვენს ძველ მასწავლებლებს, დღემდის კი გაუგებრობას იწვევდა ჩემში მისი გამოსვლებიო.

ხარტიშვილს ალბათ—ამბობს ნოე ჟორდანია—მეტათ ცუდი მეხსიერება ჰქონია. მე თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი მთავრობაში სოციალისტების შესვლისა. ჩვენი გადაწყვეტილება ამის შესახებ მაშინვე პირდაპირი მავთულით გადავეცით პეტროგრადში ამხანაგებს. ჩხეიძე, წერეთელი დაგვეთანხმენ, მაგრამ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ დაადგინა მთავრობაში სოციალისტების შესვლა და ჩვენც დავემორჩილეთ უმრავლესობის გადაწყვეტილებას და პარტიული დისციპლინაც სწორეთ ამაში მდგომარეობს... ყველა ორატორები ერთსა იმავე შეხედულებას გამოსთქვამენ, საკითხი იმდენად მომწიფებულია, რომ უთანხმოებას არ იწვევს. უნდა მივიღოთ ეს რეზოლიუცია, დღეს მის ცხოვრებაში გასატარებლათ ნიადაგი უკვე მზათაა, ჩვენი გადაწყვეტილება ბუნებრივია, ყველა გრძნობს, რომ ეს ასე უნდა იყოს. ჩვენ უკვე მივეცით წინადადება ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, მზათ იყოს მოსალოდნელ რეფორმებისათვის... რადგანაც დაიწყო კონტრ რევოლიუცია, მასთან საბრძოლველათ საჭიროა დემოკრატიის ძლიერი მთავრობა. ჩვენ აქ ერთმა ორატორმა გვისაყვედურა, დავივიწყეთ სახელმწიფოს ინტერესებიო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ჩვენ სხვაფერ მოვიქცეოდით., კორნილოვებმა შეთხზეს ჭორი, ვითომ ჯარისკაცებმა თავის ნებით დასტოვეს რიგის პოზიციებიო. აუცილებლათ უნდა შეიცვალოს ჯარის უფროსთა შემადგენლობა. რევოლიუციონური მთავრობა, იცავს რა რევოლიუციას, მიილტვის საპატიო ზავისაკენ იმიტომ რომ, თუ ომი დიდხანს გაგრძელდა, გაგვანადგურებს ჩვენც და რევოლიუციასაც.

სანამ რეზოლიუციას განიხილავდენ, რიგს გარეშე განცხადების ნება მიეცა ჯარის სურსათის უზრუნველყოფის კომისიის წარმომადგენელს. მან განაცხადა, ჯარი დღეს იკვებება შემონახულ სურსათით, რომელიც მხოლოდ კრიტიკულ შემთხვევისათვის იყო დანიშნული. ეს სურსათი ჯარს ეყოფა 30—35 დღეს, ხოლო ახალი სურსათის მიწოდებას კი უნდა ერთი თვე ნახევარი. ამნაირათ რამდენიმე დღის განმავლობაში ფრონტზე სურსათი არ იქნება და ჯარი დაიშლება, სანამ სურსათს მივაწვდიდეთ.

კავკასიის ჯარის მთავარსარდალთან შემდგარ თათბირმა ერთათ-ერთ საშვალებათ აღიარა პურის მოხმარების განსაზღვრა. ფრონტზე ჯარისკაცი მიიღებს დღეში 2 გირ. პურს, ხოლო „ზურგში“ მცხოვრებთ მიეცემათ დღეში გირვანქა ნახევარი პური. ეს ზომა დროებითია, იგი მოიწონა კავკასიის ცენტრომაცო, სთქვა მომხსენებელმა და მოუწოდა საბჭოს აუხსნას ყველას, რომ პურის რაოდენობის შემცირება გამოიწვია მდგომარეობამ და არა უფროსების სურვილმა, რომ ამით არ ისარგებლონ რეაქციონერებმა.

საბჭომ აღუთქვა ამ მხრით დახმარება. ამის შემდეგ თავმჯდომარემ მეტათ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა. რევოლიუციის დაწყების პირველ დღეებში ერთად ვიყავით, 6 თვის შემდეგაც ერთათ ვართო. ჩვენ უნდა აუხსნათ ყველას, რომ დღევანდელი სასურსათო კრიზისი ძველი რეჟიმის მემკვიდრეობაა და არა ჩვენი დაუდევრობით გამოწვეული. რადგანაც ხელში ვიღებთ ქვეყნის მართვა-გამგეობას, დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა გვმართებს, უნდა ჩვენი მოვალეობაც ვიცოდეთო—და მოუწოდა ყველას სოლიდარობის განმტკიცებისაკენ.

ჯერ მიდგა რეზოლიუციის კენჭის ყრაზე. კუზნეცოვი (ბოლშ.) აცხადებს, რომ ბოლშევიკების ფრაქცია ხმას მისცემს ამხ. ნოე ჟორდანიას რეზოლიუციასო.

ერთხმათ იქნა მიღებული ამხ. ნოე ჟორდანიას რეზოლიუცია.

ნაზარეტიანს (ბოლშ.) შემოაქვს წინადადება გამოტოვებულ იქნას რეზოლიუციაში სიტყვა „ცენზიანი“ (ბურჟუაზია. ვ. ა.) ეს წინადადება უარყოფილ იქნა.

კუზნეცოვს შემოაქვს შემდეგი დამატებანი 1) დამფუძნებელი კრება მოწვეულ იქნას დანიშნულ დროს; 2) გარეკონ სახ. დუმა და საბჭო; 3) მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა თათბირის მოწვევა; 4) იქ, სადაც ნათქვამია: „მთელი სახელმწიფოებრივი მართვა გამგეობა გადაეცეს დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებს“—დაემატოს: „ხალხის ინტერესების ჭეშმარიტ გამომხატველებს“, 5) იქ, სადაც ნათქვამია: „...რევოლიუციონურ აფიცრების წარმომადგენელთა დანიშვნა“ დაემატოს: „და ჯარის რეორგანიზაციის საკითხში ჯარის დემოკრატიული ორგანიზაციების მხრით სრული კონტროლის დანიშვნა დისციპლინისა და ბრძოლის უნარის განსამტკიცებლათ“.—

ეს დამატებები მომხსენებელმა ყველა მიიღო, გარდა მე 4 დამატებისა. ეს დამატება ერთხმათ იქნა უარყოფილი და რეზოლიუცია ზემო მოყვანილ დამატებებით ერთხმათ მიიღეს.

რეზოლიუცია.

„გენერალ კორნილოვის კონტრ რევოლიუციონურ გამოსვლამ ცხადათ დაამტკიცა, რომ კადეტების პარტია და მასთან ერთად მთელი ცენზიანი ბურჟუაზია აშკარათ გადავიდა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. ამიტომ მისი წარმომადგენლების დროებით მთავრობაში ყოფნა თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სრულიათ შეუძლებლათ მიაჩნია. სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობა უნდა გადავიდეს დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიების ხელში. ახალი დროებითი მთავრობა ვალდებულია დაუყოვნებლივ შეუდგეს 8 ივლისის დეკლარაციის განხორციელებას და მის შემდეგ გაფართოებას და აგრეთვე ვალდებულია მიიღოს ენერგიული ზომები, რომ მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება დანიშნულ დროზე.

რევოლიუციის ინტერესები მოითხოვენ ყველა კონტ-რევოლიუციონერ გამოსვლათა ჩაქრობას. საბჭო გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ დემოკრატიული დროებითი მთავრობა ცენტრალურ კომიტეტთან ერთათ მიიღებს სასტიკ ზომებს, თვით სიკვდილის დასჯამდე, კონტრ-რევოლიუციის ყველა სულის ჩამდგმელთა და ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, საბჭო გამოსთქვამს უკიდურეს გაკვირვებას მთავარ სარდლის შტაბის უფროსათ ცნობილ რეაქციონერ გენერალ ალექსეევის დანიშვნის გამო.

ისტორია ყველა დიდ რევოლიუციებისა, მათ შორის რუსეთის დიდი რევოლიუციის ისტორიაც გვიმტკიცებს, რომ ძველი წყობილების დამცველები მზათ არიან ყოველ წუთში უღალატონ ქვეყნის თავდაცვის საქმეს, რომ სახელი გაუტეხონ რევოლიუციას და მიაღწიონ რესტავრაციას. გამოდის რა ამ მოსაზრებიდან, საბჭოს საჭიროთ მიაჩნია გენერალ ალექსეევისა და კორნილოვის მოღალატე თუ აშკარა მომხრეების დაუყონებლივ გადაყენება და თავისუფალ ადგილებზე რევოლიუციონერ აფიცრების წარმომადგენელთა დანიშვნა და ჯარის რეორგანიზაციის საკითხში ჯარის დემოკრატიული ორგანიზაციების მხრით სრული კონტროლის დანიშვნა დისციპლინისა და ბრძოლის უნარის განსამტკიცებლათ.

ამასთანავე საბჭო მოითხოვს დაუყონებლივ განხილულ იქნას სამოსამართლო და სამოქალაქო უწყებათა დაწესებულებები და დაინიშნოს იქ რესპუბლიკანური წყობილების აშკარა მომხრეები“.

ვენე ალათიშვილი.

მომხმარებელთა საზოგადოების „ალორძინება“-ს წლიური კრება.

3 სექტემბერს ავლაბრის კლუბის საზაფხულო შენობაში მოხდა თფ. მომხმარებელთა საზოგადოების „აღორძინება“-ს წევრთა წლიური კრება. კრებას დაესწრო ორასამდე წევრი. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) არჩევნები, 4) წევრთა გამორიცხვის შესახებ და 5) მიმდინარე საკითხები. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ქ. ხახანოვი, მდივნად მათიკაშვილი. სანამ დღიურ წესრიგზე გადავიდოდა, კრებამ მოისმინა და დაამტკიცა უკანასკნელ კრების (6—7 ნოემბ. 1916 წ.) ოქმი.

გამგეობის მოხსენება.

გამგეობის მხრივ მოხსენებას კითხულობს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ჭიაბეროვი.

გამგეობის მოქმედება. როგორც ამხ. ა. ჭიაბეროვის მოხსენებიდან გამოირკვა, გამგეობის მოქმედება პირველ ხანებში კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ომის გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე თანდათან გაძლიერდა, როდესაც ბაზრებზე პირველმოთხოვნილების საქონლის აშკარა უფრო ნაკლებობამ ფართო ხასიათი მიიღო, გადატან-გადმოტანის საქმე მეტად გამწვავდა,—გამგეობის მოქმედებასაც სერიოზული დაბრკოლებები გადაელობა წ. ნ. მიუხედავად იმისა, რომ გამგეობა ყოველგვარ მის ხელთ არსებულ საშუალებებს ხმარობდა წევრთა უზრუნველსაყოფად, უკანასკნელთა ყველა მოთხოვნილებების სავსებით დაკმაყოფილება მაინც შეუძლებელი ხდებოდა. ეს უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოების წევრთა ნაწილში, მაგრამ შეგნებული წევრები ამაში ბრალს გამგეობას ვერ დასდებენ. ერთი დაბრკოლებათაგანი სხვათა შორის ანგარიშების მეტის-მეტად არევ დარევაც იყო, რაზედაც გამგეობას ბევრი შრომის დახარჯვა მოუნდა. მაგ-

---

კარგენით. ხელს ნუ უშლით ნამდვილ მუშაკებს. მოგვშორდით ანდა პირში ბურთი ჩაიჩარით, თორემ სოფელს მეტი მოთმენა არ შეუძლია. მოგვშორდით... და მოხუცის ხმა მოულოდნელათ შეწყდა. ერთი ნერვიულათ გაიქნია მან ხელი, თითქოს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმაო, და მოწყვეტით დაეცა ძირს..

გერასიმე ძლივს მოაბრუნეს.

ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს იდგა ის კოოპერატივის წინ და დამშვიდებით, თუმც მოდუნებით, ებაასებოდა მეზობლებს.

—

შესვენების შემდეგ გერასიმე სახლისაკენ გაეშურა. როდესაც ის ხალხს მოშორდა და მტვრიან გზას დაადგა,—მაშინ მოაგონდა, რომ ხელცარიელი მიდიოდა შინ და იქ კი მშიერი ხალხი ელოდებოდა პურს. ამ შავმა ფიქრმა შეაჩერა ის შუა გზაზე. ერთი შეტრიალდა, უნდოდა უკან დაბრუნება, მაგრამ მალე მოისაზრა, რომ იქაც არაფერი იყო.

— ასე როგორ მივიდე სახლში. ცოტა რამ მაინც მეშოვნა დღეს,—შიმშილით დაიხოცებიან ასე, რა ვქნა?..—წყნარეთ ეკითხებოდა ის თავის თავს. არ იცოდა, მისულიყო სახლში დღეს, თუ არა. მას აშინებდა ბავშვების გამუდმებული ძახილი: „მშია, ბაბუა, მშიაო“... ეს ძახილი ახლაც ესმოდა მას და არ იცოდა რა ექნა. ბოლოს მოტრიალდა და ორღობეს მიაშურა. იქ ორღობეში ერთი ვაშლის ხე იდგა. ამ ხის ნაყოფით არა ერთხელ გაუხარებია გერასიმეს თავისი შვილის-შვილები და ეხლაც გადასწყვიტა მიეტანა მათთვის პურის მაგიერათ, ხილი მაინც.

ხეზე რამოდენიმე ნაყოფი დარჩენილიყო.

ხან ერთი მხრიდან მოუვლიდა გერასიმე ხეს და ჯოხს ესროდა, ხან მეორე მხრიდან. ჯოხი იშვიათათ ხვდებოდა ნაყოფს და უფრო იშვიათათ ვარდებოდა ძირს. ბოლოს ბედმა უმტყუნა მას და ჯოხი ხეზე შერჩა. ამას კი არ მოელოდა გერასიმე.

— ეს, დაწყევლილო ბედო!—ამოიკვნესა გერასიმემ და ჯოხს მიაჩერდა. შემდეგ მოკრიბა ქვები და, რაც ძალა და ღონე ქონდა, დაუშინა ჯოხს. ეხლა გერასიმეს ვაშლები როდის აინტერესებდა. მას შერჩენილ ჯოხის დაკარგვის შიში აწუხებდა და თან შიშობდა: ვაი თუ ვინმემ გაიაროს, დამინახოს და ვაშლების ქურდობა დამწამოსო. ამიტომ უფრო აჩქარებით ესროდა ქვებს და დაღლილობას ყურადღებას არ აქცევდა. ბოლოს, როგორც იყო, ერთი ქვა შემთხვევით მოხვდა ჯოხს და ძირს ჩამოაგდო. აიღო გერასიმემ ჯოხი, მოიწმინდა ოფლი, ცოტა შედგა დასასვენებლათ, აკრიფა ორიოდე ვაშლი, მწარეთ, უიმედოთ ამოიკვნესა და გზას გაყვა.

სახლში კი რძალი, შვილის-შვილები მოუთმენლათ მოელოდნენ, რომ გერასიმე მათ პურს მოუტანდა დღეს...

V

დრო მიდიოდა...

რევოლიუციონური ორგანოები თანდათან მეტს ძალას იკრებდენ ირგვლივ და ხალხშიც მათი გავლენა დღითი დღე მატულობდა. ხელმეორეთ აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი. არჩევნებში მთელმა სოფელმა მიიღო მონაწილეობა და თავისი თანაგრძნობა სოციალ-დემოკრატების კანდიდატებს გამოუცხადა. გლეხებმა გაგზავნეს წარმომადგენლები ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობაზე საჭირ-ბოროტო კითხვების გამოსარკვევად.

— რევოლიუცია იმაგრდება, ძალას იკრებს, მაგრამ კონტრ-რევოლიუციონერებმაც წამოყვეს აქა-იქ თავი, ირაზმებიან და მოპოვებულ თავისუფლების დასაღუპათ ემზადებიანო, ეუბნებოდნენ ორატორები გლეხებს. სიფხიზლე საჭიროა, მჭიდრო ორგანიზაციები, თორემ სახალხო საქმე დაიღუპებაო...

და თითქოს ამ სიტყვების დასამტკიცებლათ სოფელში დღემდის მიყუჩებულნი ბნელი ძალები ამოძრავდენ და ხალხს შეწუხება დაუწყეს. ეს ბნელი ძალები ქურდ-ბაცაცები იყვნენ. ამ ვაჟბატონებმა გააცხოველეს მუშაობა და მოურიდებლათ იპარავდენ, რაც კი მოხვდებოდათ ხელში. ზოგან მკვლელობაც ჩაიდინეს და სოფლის ჭირ-ვარამს ახალი შფოთი და მოუსვენრობა დაუმატეს.

ამ გარემოებით ისარგებლეს რევოლიუციის მტრებმა და დაიწყეს ყაყანი. შიშმა შეიპყრო სოფელი. გაუცნობელ მომავლის მოლოდინმა ბევრი ჩააფიქრა და აშკარათ დაიწყეს უკან ყურება. მდგომარეობას აუარესებდა სურსათის ზღაპრული სიძვირე და ნაკლებობა.

ამ დროს გამოაცხადეს: შინ წამოსულნი ჯარისკაცები უკან დაბრუნდითო. თუ ომი ჩვენი გამარჯვებით არ დამთავრდა—მაშინ თავისუფლებასაც ბოლო მოეღებაო. და მიყავდათ ჯარისკაცი, მაგრამ ომს დასასრული არ უჩანდა და ბრძოლის ველიდანაც სანუგეშო ცნობები არ იყო, მტერი მედგრათ მოიწევდა წინ და ახალ ახალ დამარცხებით უმასპინძლდებოდა ჩვენს ჯარებს. ამას დაერთო პეტროგრადის ამბები. იძახოდნენ: შეიარაღებული ჯარი გამოვიდა ქუჩაში და დროებითი მთავრობის გადაგდება მოითხოვაო. ყველა ამან გაათამამა სოფლის ნაძირალები და თარეშს უმატეს.

საბედნიეროდ მალე დამამშვიდებელი ცნობა მოვიდა. კონტრ-რევოლიუციონერები დამარცხდნენ, ისევ რევოლიუციამ გაიმარჯვაო. ამან გააცხოველა ერთობის ხალხი და ძველი მთავრობის მომხრეები ალაგმეს.

— მე ყოველთვის იმ აზრის ვიყავი, რომ რევოლიუცია არ დამარცხდებოდა, ამბობდა ამ ამბით გახარებული გერასიმე. რაც უნდა მოხდეს, ისე არ დამარცხდება ხალხის საქმე, რომ ძველი დრო მობრუნდეს. როგორც ჩემი გაახალგაზრდავება შეუძლებელია ისე შეუძლებელია ძველის აღდგენა. მართალია ამ თორმეტი წლის წინად დავმარცხდით, მაგრამ ცოტა მაინც შეგვრჩა ხელში. ეს ცოტა დუმა იყო. ამ დუმამ ხელი შეუწყო ახლ გამარჯვებას. ასე იქნება ახლაც. თუ სულ ვერ გავიმარჯვეთ—ისეთი რამ მაინც შეგვრჩება—რაც ხელს შეუწყობს საბოლოო გამარჯვებას. მე ასე მჯერა და ამ რწმენით ჩავალ სამარეში, შემდეგ თქვენ იცითო, ეუბნებოდა გერასიმე თავის მეზობლებს...

ერთობის გამარჯვებას გერასიმე პირველათ სულ სხვა იმედებს აყარებდა, მაგრამ ის მალე დარწმუნდა, რომ მისი იმედები გადამეტებული იყო. საზოგადოთ მან შეძლო საკმარისათ გარკვევა და შექმნილ მდგომარეობას სწორად აფასებდა. ამ გამჭრიახობამ მას საშვალება მისცა სულიერი ძალა მოეკრიბა და სასოწარკვეთილების გზიდან აეცდინა. თუმცა გერასიმეს ბევრი რამ ჰქონდა სადარდებელი. ერთის მხრით მშიერი ოჯახი—მეორეს მხრით მალხაზის დაკარგვა და კიდევ სხვა ათასი წვრილმანი, მძიმე ლოდივით აწვა მას გულზე. ერთი იმედი კიდევ ბჟუტავდა მიმქრალ ვარსკვლავივით გერასიმესათვის. ეს იყო სოსო. და გერასიმემაც გადაწყვიტა მიეწერა მისთვის წერილი და მამაშვილურათ ეთხოვნა ჩამოსვლა. მთელ დღეს აწერინებდა გერასიმე წერილს ეფროსინეს. ბევრი რამ წვრილმანი ჩააწერინა მან ამ წერილში და ბოლოს ასე დაამთავრებინა წერილი: „მომეშველე, შვილო, მალე მოდი, თორემ მე მეტი არ შემიძლია. მიჭირს იცოდეს ღმერთმა და კაცმაცო“.

სოსო აფორიაქა ამ წერილმა. საჩქაროთ შეკრა თავისი ბარგი-ბარხანა და სამშობლო სოფელს მიაშურა,—მაგრამ გერასიმეს კი მან ვეღარ მოუსწრო ცოცხალს...

—

ბოლო ხანებში გერასიმე განუწყვეტლივ ატარებდა ერთს პატარა ტომარას. ის სიმინდს დაეძებდა და ყველას იმას ეკითხებოდა, თუ სად ან ვინ ყიდდა სიმინდს. ვიღაცამ გერასიმეს უთხრა, რომ მახლობელ დაბის კოოპერატივს ერთი ვაგონი სიმინდი მოსვლიაო, მაგრამ როგორც ამბობენ იმ კოოპერატივს სიმინდი თავის რაიონისათვის უნდაო. ეს უკანასკნელი ამბავი არ ესიამოვნა მას, მაგრამ მაინც გადაწყვიტა წასვლა და როგორმე სიმინდის შოვნა. შუადღე იქნებოდა, როდესაც გერასიმეს ერთი ფუთი სიმინდი ჩაუყარეს ტომარაში დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ. დაღლილობა—შიმშილი დაავიწყდა გერასიმეს სიხარულისაგან და აჩქარებით გამობრუნდა თავის სოფლისაკენ. მაგრამ ეს მცირე ტვირთი მძიმე იყო მისთვის და თუმცა ძალიან ეჩქარებოდა, მაინც ფეხები არ უჯერებდა მას და ძლივს მიაბიჯებდა. მალე ერთი ცარიელი ურემი წამოეწია გერასიმეს და მეურმემ მიიპატიჟა ის.

— მაცხონე და ეს არის, უპასუხა გერასიმემ მეურმეს და ურემზე აბობღდა. გააბეს ბაასი. ერთი მეორეს შესჩივლეს მეურმემ და გერასიმემ თავიანთ მდგომარეობის ამბები და შემდეგ ისე გერთვენ ლაპარაკით, რომ მეურმემ ვერც კი შეამჩნია, როგორ მიუახლოვდა გადასახვევ გზას. აქ გერასიმე იძულებული იყო დამშვიდობებოდა მეურმეს და თავისი ტვირთით მარტო განეგრძო გზა სოფლისაკენ. სიცხე, სისუსტე, დაღლილობა, უძნელებდა გერასიმეს სიარულს და ხშირი სვენებ-სვენებით ძლივ-ძლივობით იმოკლებდა ის გზას. დასვენების შემდეგ მას უფრო უძნელდებოდა ადგომა, ტვირთის აწევა და სვლა. სახლამდის კი მანძილი ჯერ დიდი იყო.

— ალბათ ველარ მივაღწევ, სთქვა გერასიმემ, როდესაც გზის მანძილი გაითვალისწინა. და რომ მდგომარეობა შეემსუბუქებია გადასწყვიტა წისქვილში მისულიყო, იქ ღამის განმავლობაში დაეფქვა სიმინდი და დასვენების შემდეგ დილით სახლისკენ ექნა პირი.

— სიმინდს დაფქვა ხომ უნდა და აქ დავფქვავ, თუ იქ სულ ერთია, სთქვა გერასიმემ თავის გასამართლებლათ და გზიდან გადაუხვია.

წისქვილი, რომლისაკენ ეხლა მიდიოდა გერასიმე შორს არ იყო გზიდან, მაგრამ ის იმდენათ დაიღალა, რომ ამ მანძილის გავლაც ისე გაუჭირდა, რომ ძლივს მიაღწია წისქვილამდის. წისქვილის კარები გამოკეტილი დახვდა გერასიმეს. ამ გარემოებამ ის შეაწუხა, მაგრამ მეტი ვეღარ შესძლო, დაუშვა ტომარა წისქვილის კარებთან და თვითონაც იქვე გაიშხლართა. აჩქარებით, აკანკალებული ხელებით გაიღილა გული, თვალებში მოისვა რამოდენიმეჯერ ხელი და ირგვლივ ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეძებდა ვინმეს. დამავალი მზის სხივები მიგომოდა წისქვილს და გერასიმეს ფერ-წასულ სახეს მოწითალო შუქით ანათებდა. ის კი ძლივს ითქვამდა სულს და თვალები ებინდებოდა.

— მზე ჯერ არ ჩასულა, მაგრამ რომ ღამდება ასე რათ?!. ხმამაღლა ნაწყვეტ-ნაწყვეტ იკითხა გერასიმემ და რამოდენიმე გაზმორების შემდეგ სრულიად მიწყნარდა...

—

მეორე დღეს მეწისქვილემ შეატყობინა სოფელს გერასიმეს გარდაცვალების ამბავი.

ილია რუხაძე.

რომ გამგეობამ ამ მხრივ საქმე ასე თუ ისე უკვე მოაწესრიგა.

საზოგადოების ანგარიში 1915 წ. 10 ოქტომბრიდან 1917 წ. 1 იანვრამდის. ამხ. ქიაბერიძე უკითხავს კრებას აღნიშნულ პერიოდის შემდეგ ანგარიშს:

წევრთა რიცხვი.

აღნიშნულ დროში წევრად ჩაწერილა—6649, გასულა 8, სულ პირველ იანვ. 1917 წ. ირიცხებოდა 6641 წევრი. შესასვლელი გადასახადი არ ქონია შეტანილი 146 წევრს.

კასა.

კასაში შემოსულა 555,858 მ. 50 კ.; დახარჯულა—550 487 მ. 90 კ. 1 იანვ. კასაში დარჩენილა—5370 მ. 60 კ.

საქონელი.

საანგარიშო წელში გაყიდულა საქონელი 465,136 მ. 83 კ. შემდგომში დარჩენილა—450,002 მ. 5 კ. თუ გაყიდულ საქონელს იმ ფასში ვიანგარიშებთ, როგორც გაიყიდა, დარჩენილს კი ნაყიდ ფასში—სულ საქონელი ყოფილა 510,138 მ. 88 კ.; აღნიშნულ წელში ნაყიდი ყოფილა საქონელი 457,302 მ. 36 კ. საერთო მოგება დარჩენილა 52,836 მ. 52 კ.

ინვენტარი.

საანგარიშო წელში საზოგადოებას შეუძენია ინვენტარი 5671 მ. 20 კ., იგივე სავსებით ირიცხება მაღაზიაში.

საკრ. დაწ. და კოოპერ. კავშირებში.

აღნიშნულ დროში შეტანილია 131,532 მ. 55 კ., უკან მოთხოვნილი 104,608 მ. 80 კ., 1 ლ იანვარში დაწესებულებებში დარჩენილა 26,923 მ. 75 კ.

სპეციალური მიმდინარე ხეხხა.

საანგარიშო წელში შეტანილია ბანკებში 123,751 მან. 3 კ., გამოტანილია ბანკებიდან 117,260 მ. 70 კ., 1 იანვრისათვის ბანკებზე დარჩენილა 6,490 მ. 33 კ.

სხვადასხვა პირებზე და ადგილებზე.

სხვადასხვა პირებიდან და ადგილებიდან მიღებულია 170,790 მან. 62 კაპ., გაცემულია 172,047 მ. 75 კ., 1 იანვ. საზოგადოებას ვალი აქვს 3,532 მ. 29 კ., საზოგადოებას ვალი აქვთ 4,789 მ. 42 კ.

საპაიო თანხა.

შემოსულა 50,496 მ. 50 კ., უკან დაბრუნებულია 63 მ. 50 კ., დარჩა საზოგადოებაში 50,433 მ.

სათადარიგო თანხა.

შემოვიდა (საწევრო წიგნაკების და სხვა) 339 მ. 35 კ. დარჩენილია იგივე თანხა.

სარეზერვო თანხა.

საანგარიშო წელში შემოვიდა (შემოსავლიდან გადასახადი) 3,512 მ., იგივე დარჩენილი.

შესანახი თანხა და სესხი.

შემოვიდა 15,175 მ., გაცემულია 6,295 მ. 1 იანვრისთვის დარჩა 8,880 მ.

საალებ-მიმცემო ხარჯები.

საანგარიშო წელში დახარჯა 28,571 მან. 39 კ., უკანვე შემოვიდა 3,088 მ. 3 კ., ხარჯებზე გადაწერილია 25,483 მ. 36 კ. (საალებ-მიმცემო ხარჯებში შედიან: ჯამაგირი გამგეობის წევრთა 200 მ., მოსამსახურეთა ჯამაგირი და სურსათი 14,334 მ. 95 კ., ბინა, გათბობა და განათება 3,022 მ. 18 კ., საქონლისა და ინვენტარის დაზღვევა 954 მ. 20 კ., საქონლების მოტანაში გადასახდელი ხარჯი 341 მ. 56 კ., პატენტები 449 მ. 55 კ., კანცელარიის, სტამბის და სხვ. 1,937 მ. 13 კ., ფოსტის, ტელეგრაფის და სხვა ხარჯები 295 მ. 65 კაპ., შენახვის და სესხის პროცენტები 1,178 მ. 39 კ., სამგზავრო 308 მ. 37 კ., სხვა ხარჯები 2,461 მ. 38 კ.)

მოგება და ზარალი.

საალებ-მიმცემო ხარჯები 25,483 მ. 36 კ., წმინდა მოგება 27,550 მ. 71 კ., სულ 53,034 მ. 1 კ., საერთო მოგება (валовая приб.) 52,836 მ. 52 კ., საკრედიტო დაწესებულებებში ფულებიდან პროცენტები 197 მან. 55 კ., სულ 53,034 მ. 7 კ.

ბალანსი.

აქტივი:

კასსა	5 370 მ.	60 კ.
საქონლები . . .	45 002 „	05 „
ინვენტარი . . .	5,671 „	20 „
საკრედიტო დაწესებულებებში . .	26 923 „	75 „
სპეც. მიმდინარე ანგარიშები . .	6,490 „	33 „
სხვადასხვა პირებს და ადგილებს . .	4,879 „	42 „
სულ	94,247 მ.	35 კ.

პასსივი:

საპაიო თანხა . .	50,433 მ.	
სათადარიგო . .	339 „	35 „
სარეზერვო . . .	3,512 „	0 „
შესანახით მობარებული და სესხი	8,880 „	0 „
სხვადასხვა პირებს და ადგილებს .	3,532 „	29 „
წმინდა მოგება . .	27550 „	71 „
სულ	94,247 მ.	35 კ.

ამხ. ქიაბერიძე დეტალურად არჩევს ანგარიშს და სხვათა შორის აღნიშნავს, რომ კულტურულ-განმანათლებელ მიზნებისათვის (ჟურნალ-გაზეთები და სხვა) გადადებული იყო სულ 300 მანეთი. მისი აზრით, ეს ძალიან ცოტა თანხაა ასეთ დიდ საქმისათვის და გამოსთქვამს, რომ შემდეგში ამ მიზნისათვის მეტი უნდა გადაიდოს.

ამის შემდეგ მოხსენება უნდა გაეკეთებინა სარევიზიო კომისიას, მაგრამ სარევიზიო კომისიის წევრი მიკირტუმოვი აცხადებს, რომ სარევიზიო კომისიას არავითარი მოხსენება არა აქვს დამზადებული. გამოირკვა, რომ სარევიზიო კომისიას არაფერი გაუკეთებია, რომ სრული კანტროლი გაეწია გამგეობის მოქმედებისათვის. „თუმცა ბევრი საპატიო მიზეზები იყო, რომაც ნება არ მოგვცა ჩვენი მოვალეობა შეგვესრულებია, მაგრამ მე მაინც არ მინდა საზოგადო კრების წინაშე თავი ვიმართლო“-ო, აცხადებს მიკირტუმოვი და შემოაქვს წინადადება აირჩიონ ახალი სარევიზიო კომისია. თაღაკვაძე აძლევს სხვადასხვა კითხვებს გამგეობას და შემდეგ შეაქვს წინადადება, რომ რადგანაც ანგარიში არ არის სარევიზიო კომისიის მიერ კანტროლ გაწეული და შიგა და შიგ შეცდომებიც არისო, არ იქნეს იგი დღეს დამტკიცებული და განსახილველად გადაეცეს ახალ კომისიას. მეორე ორატორი ი. მაისურაძე აღნიშნავს, რომ თუ დღეს ანგარიში არ დავამტკიცეთ, ამით შეფერხდება გამგეობის წევრთა არჩევნებიო. ეს კი დიდათ საზარალო იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ ღირსშესანიშნავ მომენტს და იმ მწვავე საკითხებს, რომლებიც გამგეობის წინ დღეს დადგებაო. ამიტომ იგი მოითხოვს, დამტკიცებულ იქნეს ანგარიში და გადავიდნენ შემდეგ საკითხებზე. კამათი დიდ ხანს გრძელდება. ბოლოს კენჭს უყრიან ორ ზედ დასახელებულ წინადადებებს.

ამის დიდი უმეტესობით ანგარიში უცვლელათ მტკიცდება და არავითარ კომისიას განსახილველად არ გადაეცემა.

მოგების განაწილება.

როგორც ანგარიშიდან ჩანს, საზოგადოება „[illegible]“-ს დარჩენია წმინდა მოგება 27550 მ. 71 კ. ამხ. ი. ქიაბერიძეს საჭიროთ მიაჩნია, გამომუშავებულ იქნას განსაზღვრული ნორმები, რის მიხედვითაც მომავალში უნდა განაწილდეს წმინდა შემოსავალი. ეს, მისი აზრით, აუცილებლათ საჭიროა ანგარიშის სწორ ნიადაგზე დასაყენებლათ. კერძოთ საანგარიშო წლის მოგებისათვის იგი შემდეგ წინადადებას იძლევა გამგეობის სახელით: მთელი მოგების 10% გადაიდოს საზოგადოების წესდების თანახმათ სათადარიგო თანხათ; 6% მოგებისა განაწილდეს წევრთა პაის მიხედვით; 3% იმის მიხედვით, თუ რამდენი უვაჭრია წევრს კოოპერატიულ საზოგადოებაში; 10 ათასი მანეთი კულტურულ განმანათლებელ მიზნებისათვის (ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა, ჟურნალ-გაზეთებისათვის, საქონლითა ნიმუშების შესაკრებათ, რომ წევრს საშვალება ჰქონდეს გაეცნოს საქონლის ღირსებას და სხვ.) და დანარჩენი თანხა გადაირიცხოს საგანგებო ფონდში საზოგადოებისათვის საკუთარ შენობების, ინვენტარის და სხვ. შესაძენათ.

ი. მაისურაძეს მოუხერხებლათ მიაჩნია წინდაწინვე განსაზღვრა მოგებისა, ვინაიდან მოგება ხან მეტია, ხან ნაკლები. მისი აზრით, ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც შემოსავალი დიდია; მაგრამ, როდესაც შემოსავალი მცირეა, მაშინ არა თუ წევრებს არ უნდა მიეცეს მოგებიდან პროცენტები, სხვა წყაროებიც უნდა იქნას გამონახული, რომ საზოგადოების წარმოება არ შეფერხდეს. თაღაკვაძე ეთანხმება მაისურაძეს და მეორე მხრივ მიაქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მოგების განაწილებაში მუშებს არავითარი ანგარიში არ ეწევათ. მომხსენებელი ა. ქიაბერიძე განმარტავს, რომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი სხემა ფიქსაციას უშვებს მხოლოდ მაქსიმალურ ნორმას, რომლის ზევითაც არას დროს არ უნდა შეიძლებოდეს საპაიო და ნავაჭრის მიხედვით მოგების დარიგება. თვითეულ კერძო შემთხვევაში კი შეიძლება ამაზე ნაკლებიც გაიცესო. თაღაკვაძის საპასუხოთ ის ამბობს, რომ არას გზით არ შეიძლება მოსამსახურეთა ჯამაგირის ან ჯილდოს მიღება დაუკავშიროთ წმინდა მოგებასო, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოსალოდნელია მოსამსახურეთა მხრივ სხვადასხვა ბოროტმოქმედებაო.

კენჭის ყრით მიიღეს გამგეობის წინადადება. მიღებულ იქნა აგრეთვე წინადადება: წევრებმა მოგების %%-ის შესახებ ყოველგვარი ანგარიშები გაასწორონ მდგომარე წლის პირველ დეკემბრამდის და წევრების მიერ პროცენტების სახით მიღებული თანხა მოხმარებულ იქნას ახალ პაის შესაძენათ (ვისაც ხუთი პაი აქვს, მას %% შეუძლია წაიღოს).

წევრთა გამორიცხვა.

გამგეობის თავმჯდომარე ა. ქიაბერიძე აცხადებს, რომ 1916 წლის განმავლობაში შემოვიდა 17 კაცისაგან განცხადება, რომ ისინი თავს ანებებენ საზოგადოების წევრობას და გამგეობიდან ითხოვენ თავიანთ ხვედრ ფულს.

ასეთივე განცხადება შემოვიდა 111 კაცისაგან 1917 წელს. საზოგადოების წესდების თანახმათ კრებამ დაადგინა: გამორიცხულ იქნან აღნიშნული პირები საზოგადოებიდან და გაუსწორდეს ანგარიში 17 წევრს, რომლებმაც განცხადება 1916 წლის შემოიტანეს ახლავე წლიურ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ; ხოლო იმათ, ვინც 1917 წელს შემოიტანეს განცხადება, ანგარიში გაუსწორდეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც 1917 წლის ანგარიში იქნება დამტკიცებული. გამორიცხულ წევრთ უფლება ექნებათ შემდეგ კვლავ ჩაეწერონ საზოგადოებაში საერთო წესის მიხედვით.

1917 წლის ნავარაუდევი ხარჯთ-აღრიცხვა.

ამ წლის პირველ ექვსი თვის (1 იანვრიდან 1 ივლისამდე) ანგარიშიდან ჩანს, რომ წინა წელზე შედარებით გაზრდილა, როგორც გასავალი, ისე შემოსავალი; აგრეთვე გაზრდილა საერთო მოგება. ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ თითქოს საზოგადოებამ ისე გააფართოვა წარმოება, რომ ყველაფერი საუცხოვოთაა მოწყობილი, წევრთა მოთხოვნილებები სავსებით კმაყოფილდება და სხვა. ეს საქონელთა ფასის სწრაფი ზრდით აიხსნება. საზოგადოებას ხშირათ ძველი საქონელი ქონდება, რის ფასიც მაგ, ბაზრის ფასების მიხედვით უცებ გაზრდილა. ამიტომ მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა გაცილებით დიდია, ვინემ 1916 წლის, ან ამ წლის პირველ 6 თვის ანგარიში. მაგალითად, პირველ ექვსი თვის გასავალი თუ 36,000 მან. უდრიდა, მთელი 1917 წლის გასავალი ნავარაუდევია 92,000 მანეთი. კრებამ ანგარიში გაუწია ყველა ამ მოსაზრებებს და გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა.

განყოფილებები.

საზოგადოების განყოფილებების გახსნის შესახებ გამგეობის თავმჯდომარე აცხადებს, რომ გამგეობას აზრათ ჰქონდა გაეხსნა განაპირა უბნებში ასეთები. ამისათვის შესდგა რამოდენიმე კომისიები, რომლებსაც დაევალა ამ მხრივ საქმის წარმოება. განზრახული იყო განყოფილებების 8 ადგილას გახსნა. მაგრამ ეხლა ამის მოწყობა შეუძლებელია, ვინაიდან განსაკუთრებულ მომენტის გამო ამას ბევრი დაბრკოლებები ეღობება წინ. ერთ მხრივ მატერიალური გასაჭირი და მეორე მხრივ ის, რომ კიდეც რომ გავხსნათ განყოფილებები, შიგ საჭიროთ ვერაფერს შევიტანთ, რადგან საქონლის შოვნა უტათ გაჭირებულია. ამხ. მაისურაძე შენიშნავს, რომ თფილისის ქალაქის საბჭომ გადასცა „ალორძინება“-ს სასარგებლოთ 3,000 მანეთი და აღუთქვა კვლავ დახმარება. იგი მოითხოვს, დაუყოვნებლივ გახსნილ იქნას განყოფილებები, რომ ამით იმედი არ გადავუწყვიტოთ იმ პირებს, რომლებიც დღემდის მუდამ ელოდენ განყოფილებების გახსნას. სხვადასხვა უბნების წარმომადგენლნი იმასვე იმეორებენ, რომ აუცილებლათ საჭიროა გაიხსნას განყოფილებები. ამხ. ქიაბერიძე გამგეობის სახელით აცხადებს, რომ გამგეობა სულაც არ არის წინააღმდეგი, რომ განყოფილებები გაიხსნას; პრინციპში ამის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ პირობებს უნდა გავუწიოთ ანგარიშიო. ამ განმარტების შემდეგ კრება იღებს შემდეგ წინადადებას: დაევალოს გამგეობას, პირველ შეძლებისთანავე გახსნას განყოფილებები სხვადასხვა უბნებში.

არჩევნები.

გამგეობის თავმჯდომარე აცხადებს, რომ გამგეობის წევრთა არჩევნები, წესდების თანახმათ, ხდება სამ წელიწადში ერთხელ. ეხლა, რადგანაც საპატიო მიზეზების გამო ორი გამგეობის წევრი (გ. ერაძე და კ. იოვენკო) გამგეობიდან გავიდენ, ასარჩევია ორი ახალი წევრი და სამი მათი კანდიდატები. აგრეთვე ასარჩევია სარევიზიო კომისია 3 კაცისაგან შემდგარი და ორი მათი კანდიდატი.

სანამ არჩევნებს შეუდგებოდენ, განიხილეს საკითხი გამგეობის წევრთა ჯამაგირების შესახებ. მთაიკაშვილის წინადადებით, გამგეობის წევრთ ნაცვლათ 40 მანეთისა, დაუნიშნეს 80 მანეთი ჯამაგირი თვეში. ამის შემდეგ ღია კენჭის ყრით ხდება არჩევნები. აირჩიეს: გამგეობაში—მელჩარსკი და ტილიუტსკი, მათ კანდიდატებათ: ფინივე, კ. იოვენკო და მ. გიორგობიანი; სარევიზიო კომისიაში: ტ. წერეთელი, დ. ი. მაქრაძე და კ. ხახანოვი, კანდიდატებათ ვ. ხახანოვი და ი. ზესელიძე.

ხურდა.

რევოლუცია პროვინციაში

სოფელი ბორისა (საჩხერის რაიონი). 6 აგვისტოს მოხდა კრება, რომელზედაც მოწვეული იყო ქუთაისიდან ა. ვ. ბურჯანაძე. კრება გახსნა ადგილობრივ კომიტეტის წევრმა ვ. წერეთელმა. თავმჯდომარეთ აირჩიეს გიორგი შულაშვილი. ილაპარაკა ამ. ბურჯანაძემ დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. შემდეგ გაარჩიეს ადგილობრივი კითხვები—სკოლის, კოოპერატივის და მღვდელსა და ხალხს შორის დამოკიდებულების შესახებ და სხვ. სკოლის მზრუნველებს დაავალეს მოაგროვონ ფული და დაიჭირონ საქმე. კოოპერატივის მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკა ბურჯანაძემ. კრებამ ერთ ხმათ გადაწყვიტა მისი დაარსება. აირჩიეს სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაავალეს ამ საქმის მოწყობა. მღვდლისა და ხალხს შორის დამოკიდებულების შესახებ დაადგინეს ოცი კაცი ამ ბრალდების დასამტკიცებლათ, რასაც მღვდელს აბრალებდენ. რამდენიმე მღვდელი თვითონ გამოტყდა თავის დანაშაულში. ხალხის ერთი ნაწილი მოითხოვა მის გაძევებას და სხვა მღვდლის მოყვანას. ბოლოს, როგორც იქნა, იმით დაკმაყოფილდენ, რომ მღვდელს ბოდიში მოახდევინეს და აღთქმა დადებინეს კრების წინაშე, რომ მის მოვალეობას დღეიდან პირნათლათ შეასრულებს და ემსახურება ხალხს. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

ადგილობრივი გლეხი.

სოფელი ქვაციხე (შორაპნის მაზრა). კვირას 30 ივლისს ადგილობრივ ეკლესიის გალავანში გაიმართა მიტინგი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების პროგრამის გასაცნობათ. ხალხი ბლომათ დაესწრო. თავმჯდომარეთ ერთ ხმათ აირჩიეს ა. მ. ჩუბინიძე. თავმჯდომარემ მიმართა კრებას, რომ დაიცვან წეს რიგი. ადგილობრივ ს.-დ. მ. პ. ორგანიზ. წარმომადგენლის მოთხოვნით კრებამ აირჩია 6 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, ვინც გამოიმუშავებდა ინსტრუქციის მოხდენას, კრებიდან გააძევებდენ. ასეთმა წესმა გასჭრა და მიტინგმა სერიოზული ხასიათი მიიღო. პირველად ლაპარაკობს ამხ. ა. ბურჯანაძე. მან ვრცლად აუხსნა ხალხს ს.-დემოკრატიული პროგრამა და გააცნო ამ პარტიის წარმოშობის და ბრძოლის განვითარების ისტორია. შემდეგ ილაპარაკეს ს.-ფედერალისტების წარმომადგენელმა ოქროპირიძემ და ეროვნულ დემოკრატების მეგრელიშვილმა, ერთმაც და მეორემაც არ დაიშურეს ძალ-ღონე [illegible] კრებისათვის თავიანთ პარტიის, როგორც ხალხის მხსნელის სიდიადე და სხვების უვარგისობა, მაგრამ მათ „რეჩებს“ ხალხი დუმილით პასუხს აძლევს: იგინი კრებაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ. კრებამ აღფრთოვანებით მოისმინა ს.-დ. ორატორების სიტყვები და ყველანი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ვარლამ ბრეგვაძე.

პროვინციის ცხოვრება.

ხაშ. აჯიაბული. წინეთაც გვქონდა აღნიშნული გაზეთებში, რომ აქაური რკინის გზის მოსამსახურეთა ერთი ნაწილი ფარულად [illegible] თვით განვითარების საქმეს თქო. ეხლა სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ მოწინავე ელემენტებმა აქ შესძლეს დაერსებიათ მტკიცე ორგანიზაცია რ. ს. დ. მ. პარტიისა, რომლის წევრთა დღეს ითვლება ორასამდე კაცი, რომლებიც ჩაბმული არიან პარტიულ მუშაობაში. მაგრამ სამწუხაროდ ნაძირალები აქაც ბევრი აღმოჩნდენ. მაგ. ავიღოთ აქაური ტელეგრაფისტები; ძლიერ ჩამორჩენილი არიან შეგნების მხრით: მათ არ იციან რა არის პარტია, ანუ ორგანიზაცია. ვერ ნახავ, რომ გაზეთებს კითხულობდენ ან იწერდენ, ორიოდეს გარდა. თავისუფალ დროს კარტის და ნარდის თამაშში ატარებენ „ჯიმრაილას კომპანიაში“. ამათ გვერდს უმშვენებენ მოძრაობის ზოგიერთი მოსამსახურენიც მაგ. „კანტორშჩიკები“, „ვესოვშჩიკები“ და სხვა. ამათაც ისე ეჯავრებათ მუშების ორგანიზაციაში ჩაწერა და მათთან ერთად მუშაობა, როგორც თათარს ღორის ხორცი. ეს ვაჟბატონები ფიქრობენ, დღეს თუ ხვალ „სტანციის ნაჩალნიკი“ გავხდებით და რა მაქვს საერთო სტრელოჩნიკთან ან კონდუქტორებთანო.

ილია გაგნიძე.

სოფ. აბაშა (სენაკის მაზრა). შაბათს 5 ივლისს ადგილობრივ სკოლის დარბაზში შედგა კრება. თავმჯდომარეთ კრებამ აირჩია კოტე თოფურიძე, მდივნად კოლია თოფურიძე. ამხ. პოლ. ქიმალავამ ვრცლად ილაპარაკა მიმდინარე მომენტზე, დამფუძნებელ კრების არჩევნებზე და მის მნიშვნელობაზე. შემდეგ კი მოკლედ და შინაარსიანად გააცნო კრებას მიწების სოციალიზაცია, ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაცია. კრება ერთხმად ამ უკანასკნელ დებულებას მიემხრო. ამხ. კოკაია მოკლედ შეეხო ომს და ზავს. მოუწოდა, თუ არიან დეზერტირები, დაუყოვნებლივ გაემგზავრონ იქ, სადაც თავიანთი ამხანაგები იმყოფებიან და პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

იასონ კორძახია.

ჩვენი ფოსტა.

ქ. თავრიზი—ჯარის-კაც მელქისა ჩხაიძეს. ქართველ მხედართა ყრილობაზე მონაწილეობის მიღება საჭიროთ მიგვაჩნია.

ჩოხატაური—ნესტორ ჩხიკვაძეს. ფული 300 მან. სტამბისა და 350 მან. საარჩევნო ფონდისთვის ბახმაროდან მივიღეთ. წერილი არ მიგვიღია.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიუროში, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულათ	10	კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10	„
3. ს. დ. პროგრამა სომხურათ	10	„
4. ს. დ. პროგრამა თათრულათ	10	„
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5	„
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5	„
7. ძირს სოც. დემ. ბრალეხი რუს.	20	„
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულათ	20	„
9. მუშის წიგნაკი ქართულათ	20	„
10. ოთხი ძმა ქართულათ	35	„
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20	„
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25	„
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25	„
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25	„
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30	„
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15	„
17. უწყება, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25	„
18. იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20	„
19. დროებითი წესები ქალაქის საბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10	„
20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20	„
21. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს.		

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დავუთმობთ, რომლებიც 50 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბაგაჟით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინდაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организацiи Р. С. Д. Р. П. Головинскiй № 12.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ჟუკოვსკის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ექიმი ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოთი 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სახლ. „ნოის“ პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოგიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ც. საათამდე

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტერენკური ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულ სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლთან პირდაპირ, რაზიანსკის ქუჩა, № 19.

„სორაპანის“ გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ სახელმძღვანელო წიგნები
ქართველი მწერლები წიგნი პირველი. შედგენილი ივ. გომელაურის მიერ ფასი 2 მან.
ქართველი მწერლები წიგნი მეორე ფასი 5 მან.
იყიდება ყველგან საქართველოს წიგნის მაღაზიებში
გამოვიდა და იყიდება „ჩანგი“ მ. გაჩეჩილაძისა ფ. 4—50 კ.
(10—6)

ბუხგალტერიის და კონტორის ცოდნათა კურსები
პირველ თფილისის კომერციულ სასწავლებელთან ორივე სქესის პირთათვის. მეცადინეობა დაიწყება 10 სექტემბრიდან, გათავდება 20 დეკემბერს. თხოვნები მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში.
(15—13)

Продолжается подписка на 1917 годъ на ежедневную газету
БОРЬБА
Органъ Закавк. Областного и Тифлисскаго Комитетовъ Российской Соц.-демократической Рабочей Партiи.
Подписка городская принимается въ конторѣ „Ганатлеба“ (Ольгинская № 6. Телефонъ № 3—44), иногородная подписка принимается въ конторѣ редакцiи Головинскiй пр., № 12. Деньги для подписки и корреспонденцiи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскiй пр. № 12 для редакцiи «Борьба».
Подписная плата въ мѣс. 2 рубля. Телеф. редакцiи № 16—62.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაზაფხულის შესახვევი № 1.